1442-1444-220

ქმნა მართლისა სიმართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად

№1
14 მარტი
1997 წელი
ფასი 50 თეთრი
თბილისის
გარეთ
სახელშეკრულებო

# პანორამა

1442 1997 III. 1444 1997 VIII.
ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელი თავისუფალი გაზეთი
გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ. სამშაბათს და პარასკევს

## წაიკითხეთ „პანორამა“

ახალი გაზეთის დაბადება მაშინაც მოვლენაა ერის ცხოვრებაში, როცა სამასამდე სხვადასხვა დასახელებისა და მიმართულების ჟურნალ-გაზეთი ისტამბება ყოველდღიურად. ახლად დაარსებული გაზეთი „პანორამა“ ლიტერატორთა და ჟურნალისტთა მცირერიცხოვანი კოლექტივის მიერაა სამზეოზე გამოტანილი და მიზანიც მოკრძალებული აქვს: მისეული ფერითა და რაკურსით გადაუშალოს მკითხველს ჩვენს ქვეყანაში არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პანორამა. კოლექტივს დიდი სურვილი აქვს მართალი სიტყვა უთხრას მკითხველს. აქედან გამომდინარე ჩვენი გაზეთი არავისთვის იქნება დახშული. იგი ფართოდ გააშუქებს როგორც პოზიციის, ასევე ოპოზიციის ნააზრევ-ნამოქმედარს, გამოაქვეყნებს მასალებს ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებიდან.

„პანორამა“ დიდ ადგილს დაუთმობს მოქალაქეთა რეკლამებსა და კერძო განცხადებებს.

ითანამშრომლეთ ჩვენს გაზეთთან, იგი თქვენი კეთილი მრჩეველი და მასპინძელია.

დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: დ. ალმაშენებლის ქ. №95. სპორტკომპლექსი „გოლიათი“.

ისტორია მეორდება
* * *
სტალინი: „ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი“...
3

ბრალად ედებათ სამშობლოს ღალატი
* * *
განათლების რეფორმა მორიგი ბლეფია
2

საბედისწერო ოთხკუთხედი: თბილისი, მოსკოვი, სოხუმი, ცხინვალი... გინახავთ გაქართველებული აფხაზი?
3



ქართველ ხელოვანთა ნამუშევრებით დიდი ხანია დაინტერესდა მსოფლიო საზოგადოებრიობა. რად ღირს თუნდაც ჩვენი სახელოვანი მოქანდაკის, ბატონ ზურაბ წერეთლის ნამუშევრების დასახელება, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქალაქს ამშვენებს. სურათზე თქვენ ხედავთ პანოს, რომელიც საბერძნეთში შეასრულა ჩვენმა თანამემამულემ ბატონმა ალექსანდრე ციხელაშვილმა.

## კიდევაც დაიზრდებიან



მსოფლიო: ცხელ-ცხელი ამბები
* * *
ჯანსაღი ელცინი დაავადებული მთავრობის ფონზე
6

გენიოსები-ქალებს
* * *
გენიოსები ხუმრობენ
* * *
კროსვორდი
8

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრალად ედებათ სამშობლოს ღალატი

1995 წლის 30 აგვისტოს უშიშროების ყოფილი მინისტრის ბრძანებით დაკავებული იქნა ექვმიტანილთა ჯგუფი გივი გერასიმის ძე გელაშვილის მეთაურობით. სულ პასუხისგებაში მიცემულია 7 პიროვნება: გივი გერასიმეს ძე გელაშვილი, გიორგი ალექსის ძე ონიაშვილი, ზაზა ოთარის ძე დვალი, შოთა ვასილის ძე რატიანი, დავით რომანის ძე მჭედლიშვილი, გიორგი ვიქტორის ძე ნანაძე და თამაზ ტრისტანის ძე მამადაშვილი. მათ, საბრალდებო დასკვნის საფუძველზე, ბრალი ედებათ ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნაში, რომელიც მიზნად ისახავდა პარლამენტისა და ტელევიზიის შენობის შეიარაღებული გზით დაკავებას, სახელმწიფო მეთაურის დატყვევებას და საჭიროების შემთხვევაში ფიზიკურ ლიკვიდაციას. მათი აყვანის საბაბი გახდა, ყველასათვის ცნობილი, 29 აგვისტოს ტერ-აქტი სახელმწიფო მეთაურის ლიკვიდაციის მიზნით მოწყობილი.

ამ შვიდეულის საბრალდებო დასკვნებში, დომინირებს ერთი და იგივე ბრალდება: სამშობლოს ღალატი ე. ი. ქმედობა, რომელიც განზრახ ჩაიდინეს საქართველოს სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული ხელშეუხებლობის, სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ შეიარაღებული ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. სახელმწიფო მოღვაწის მკვლელობის მომზადება, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის მიზნით და სხვა.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა ბრალდებულთა დაცვის ერთ ნაწილს, ბატონებს გია გოგიასა და გიორგი ბუაძეს რომლებიც აცხადებენ რომ ბრალდება თითიდანაა გამოწოვილი ე. წ. „აღიარებანი" სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრისა და მისივე ხელქვეითთა ზეწოლითაა მიღებული.

სასამართლო პროცესი დაიწყო. იგი საქართველოს უზენაეს სასამართლოს სხდომათა დარბაზში მიმდინარეობს. სასამართლოს თავმჯდომარეა ჯემალ ლეონიძე, ხოლო სახელმწიფო ბრალმდებელი ნუგზარ ბეზიტაშვილი.

ჩვენი გაზეთი პერიოდულად მოგაწვდით ცნობებს სასამართლო დარბაზიდან.

## ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ



## პასუხისმგებლობა

ილია ჭავჭავაძე ვერ იტანდა სიზარმაცეს, საქმისადმი უსულგულო დამოკიდებლებას. ყველას, ვისაც მასთან მუშაობა უხდებოდა, აკვირვებდათ მისი მუყაითობა, სიზუსტე და მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი. როგორც მწერლის თანამედროვეები იგონებენ, ილია ხშირად „ივერიის" რედაქციაში ათენებდა, დაძაბულად მუშაობდა, რომ მეორე დღისთვის მკითხველს გაზეთი მიეღო.

„ივერიის" პასუხისმგებელი მუშაკი გრიგოლ ყიფშიძე „ოთარაანთ ქვრივის" გამოქვეყნებასთან დაკავშირებით წერდა:

„...ოთარაანთ ქვრივი" ოთხჯერ გადაწერა საკუთარი ხელით და ყოველი გადათეთრების დროს ასწორებდა თითოეულ ფრაზას, თითოეულ გამოთქმას... რასაც დასწერდა, უექველად აწყობილს მოითხოვდა და დაუწყებდა კიდეც სწორებას".

საერთოდ, ილია თავის ნაწერებს რამდენჯერმე გადაწერდა ხოლმე და კორექტურასაც თვითონ უკეთებდა. ამის დასტურია მისი მრავალი ხელნაწერი.

არასდროს ყოფილა შემთხვევა, რომ საზოგადო კრებაზე ი. ჭავჭავაძე ნაჩქარევად მოუმზადებლად გამოსულიყო, საიმისოდ ყოველთვის გულმოდგინედ ემზადებოდა. ერთ მეგობარს წერდა: „დღეს საღამოზე სამეურნეო საზოგადოებაში კრება არის და კრიმ გირეის მოხსენება იქნება შესახებ აქაური ენების ხმარებისა აქაურ სკოლებში. მე მინდა წინაღუდგე, თუ აქაურ ენების წინააღმდეგ ლაპარაკი იქნება, რადგან ჩვეულებად მაქვს, მოუმზადებლად არსად წავიჩხირო. ამიტომ დღეს სამსახურიდან რომ შინ წავალ, მაშინვე ამის სამზადისს შევუდგები. ამის მიზეზით დღეს შენთან სადილად ვერ ვისიამოვნებ და დიდსა და დიდს ბოდიშს ვიხდი. სხვა დროს იყოს, შენთან ქეიფი ყოველთვის სანატრელია და სასურველი. შენი ილია ჭავჭავაძე."

ილიას სიტყვა და საქმე ერთი იყო. არასდროს ყოფილა შემთხვევა, გლეხს რაიმეს შეპირებოდა და არ შეესრულებინა.

მწერლის ერთგული თანამშრომელი, მეფუტკრე დანიელ მასლოვი ასე იხსენებდა წარსულს:

„...ერთხელ ილია ჭავჭავაძეს შემოეთვალა, რომ 17 იანვარს საგურამოში ვიქნებიო. სამწუხაროდ, ის დღეს საშინელი ქარ-ბუქი ატყდა, თოვლის ნამქერს ჰაერში აქრიალებდა. ყველას გვეგონა, რომ ასეთ ამინდში ილია ვერ შეძლებდა მობრძანებას, მაგრამ აი, მოვიდა ის, ქურქშებურულს წვერ-ულვაშზე ყინულის ლოლუები ეკიდა. — ასეთ ამინდში ჩამოსვლა როგორ გაბედეთ-მეთქი, — ვკითხე მე.

— რადგან შეგატყობინეთ, რომ ჩამოვალ-მეთქი, მოვედი კიდეც მიუხედავად ყოველისა. — მიპასუხა მან."

როგორც საგურამოელი გიორგი ნოქრიშვილი იგონებს, ერთ დილას ილია ჭავჭავაძემ მოურავს დაავალა, საღამოს გიორგი ჩემთან მოვიდესო. იმ საღამოს ჩვენებურ ბიჭებთან ქეიფს შევყე და ნასვამმა ველარ შევძელი მოურავის ნათქვამის შესრულება.

მეორე დღეს, დილით ილიასთან რომ მივედი, გულცივად შემხვდა და მისაყვედურა:

— შე კაი კაცო, თუ არ შეგეძლო ჩემთან მოსვლა, შემატყობინებდი მაინც, რატომ მალოდინეო... მერე დაუმატა: სხვა დროს ასე აღარ მოგივიდესო.

დიდი ილია თავისუფალ დროს ახლობლურად ესაუბრებოდა გლეხებს, ურჩევდა, უქმად არ დაეკარგათ დრო, გულმოდგინეთ შეესრულებინათ საქმე, შვილებისთვის შეეყვარებინათ შრომა, სიმართლე.

ცნობილი ადამიანები საუკუნეთა განმავლობაში ერთეულები იბადებიან და თვითონ ქმნიან ახალ საუკუნესო, წერდა ბრძენკაცი ილია. ეს გონივრული ნათქვამი მისი ავტორის ჭეშმარიტი დახასიათებაა, ილია ჭავჭავაძის სახით მრავალ ჭირნახულ საქართველოს გენიალური მოაზროვნე ჰყავდა, რომლის სახელი სამშობლოს სახელთან ერთად დავიწყების ბურუსით არასოდეს დაიბინდება.

**შალვა მარკოზაშვილი**
ფილოლოგიური მეცნიერების კანდიდატი. სოფ. საგურამო

## პრობლემა

# განათლების რეფორმა მორიგი ბლეფია

განათლების სისტემის მნიშვნელობასა და რეფორმებზე მეტ-ნაკლებად მუდამ იყო საუბარი. ასე იყო საბჭოთა იმპერიის არსებობის ხანაშიც, და ბუნებრივია ასეა დღესაც. მაგრამ თუ ადრე ამ კუთხით მაინც „რაღაც" კეთდებოდა და წერა-კითხვის უცოდინართა ქვეყანა, საბჭოთა კავშირის სახელით მონათლული, ფეხზე დადგა, უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. ყოველივე ამაში განუზომელია კომუნისტური პარტიის ლიდერების ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ანდროპოვის, ჩერნენკოს, გორბაჩოვის, ილიჩოვის, სუსლოვის და სხვათა წვლილი, მომხვეჭელობამ და სიცრუემ ერთის თქმის, მეორის კეთების, მესამის შესახებ ოცნებობის პოლიტიკამ ანუ თვალთმაქცობამ მიწაზე რომ დასცა არა მარტო განათლების სისტემა, არამედ მთელი საბჭოეთი, ეს ფაქტია.

დასახელებული და მათი მსგავსი, პარტიული მუშაკები თავიანთი იდეოლოგებითა და დიპლომატური კორპუსით იმთავითვე ცნობილი ბელტიყლაპია შოვინისტებით და რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთგულნი რომ იყვნენ და თავიანთ ნაცად საქმეს აკეთებდნენ, ეს თითქოსდა არ უნდა გაგკვირვებოდა განაპირა ქვეყნებში მცხოვრებ უმცროს „ძმებს". ასეთი პოლიტიკა მათ გაჩენის დღიდან სატანამ თუ ჩაუნერგა! ისინი დღესაც ამ პოლიტიკის ერთგულნი არიან, ამიტომ მუდამ უნდა გვახსოვდეს: ხელისუფლების სათავეში ელცინი იქნება ივანოვი თუ პავლოვი, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ვიცოდეთ — რას ვაკეთებდით ჩვენ, ქართველები და უპირველესად ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა? ამის თაობაზე ერთ პატარა ეპიზოდს გავიხსენებ.

თხუთმეტიოდე წლის წინ, როდესაც განათლების რეფორმაზე ასეთივე ხმაური იყო ატეხილი; ერთმა საკმაოდ მაღალი რანგის მოხელემ კაბინეტში გამომიძახა და პრესისათვის წერილის დაწერა დამავალა. სათაურიც იქვე მიკარნახა — „რა მოგვცა რეფორმამ".

ვინაიდან ამ პიროვნებას საკმაოდ ახლოს ვიცნობდი და ცოტა შეთამამებულიც გახლდით, პირდაპირ ვუთხარი: — რა უნდა მოეცა, ბატონო, რეფორმას, როცა იგი არ დაგვიწყია და მხოლოდ ვლაპარაკობდით, ვაყრუებდით ქვეყანსა-მეთქი. არ სწყენია, გაეცინა, მე ეგ შენზე უკეთ ვიცი, მაგრამ მაგას ხომ არ დაწერ, შე კაცო, რა გენაღვლება, დაწერე, რომ რეფორმა შხუილ-შხუილით მიდის-თქო მითხრა, მხარზე ხელი დამკრა და გამომისტუმრა.

არ დაგავიწყდეს „ზემოთ" თხოულობენ ამ სტატიას, იქ კი ხუმრობა არ უყვართ, — მომაძახა კარებთან მისულს.

„ზემოთ" ვინც იგულისხმებოდა, ყველამ კარგად იცით და ისიც, მათი სურვილის საპირისპირო აზრის მქონე კაცს რაც მოელოდა. საგონებელში ჩავვარდი, მაგრამ გავჯიქდი და ერთი სტრიქონიც არ დამიწერია.

სამაგიეროდ სხვებმა დაწერეს. აივსო პრესა თვალისმომჭრელი წერილებით: რეფორმის გამარჯვებაზე ქადაგებდა რადიო და ტელემაუწყებლობა. თუ ამ წერილებისა და გადაცემების ავტორებს დავუჯერებდით, მართლაც რომ „შხუილ-შხუილით" მიდიოდა განათლების რეფორმა ჩვენს რესპუბლიკაში. უფრო მეტიც, თურმე ასევე წარმატებულად კეთდებოდა სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობის და, საერთოდ, ქვეყნის ყველა დიდი თუ პატარა საქმე. თურმე ავაშენეთ რა სოციალიზმი, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის გაშლილი ფაზაში შევსულვართ. გასაკვირი ის იყო, რომ ყოველივე ამ სიცრუისა სჯეროდა კრემლს და იქიდან ასევე „შხუილ-შხუილით" მოფრინავდა გარდამავალი წითელი დროშები, ჩინ-მედლები. მერე და მერე გმირის ოქროს ვარსკვლავებმაც იწყეს ცვენა.

დიდი თუ პატარა ჩინოვნიკი კაცი, ვისაც ხმის ამოღება ევალებოდა, სდუმდა. პირგაბადრული ღებულობდა მილოცვებს და ჯადოსნური ეჩოთი ითლიდა თავისკენ მოსათლელს. ღმერთმა შეარგოს, დრო იყო ალბათ ხვეჭისა და გამოიყენა, მაგრამ ახლა? ახლა რატომ გვაყრის ზოგიერთი მათგანი თვალში ნაცარს?

რაკი „ზემოთ" სდუმდნენ სდუმდა მექრთამეობაში ჩაყურსული მაამებელთა არმიაც, რომელმაც თავის მხრივ დაუნდობლად წველა და წველა რუსული თუ ქართული ძროხა, ხოლო თუ ათიათასში ერთი სიმართლის სათქმელად პირს დააღებდა, გიჟად მონათლულს საავადმყოფოში ან ციმბირში უკრავდნენ თავს. წვრილფეხობის ნაჩხავლი ხომ სათვალავში არ მიიღებოდა და ინტრიგანებად მონათლულნი ამაოდ დაეძებდნენ სამსახურს, ბინასა თუ სხვა სიკეთეს, რომლითაც სხვები განუზომლად კმაყოფილდებოდნენ „ზემოდან".

ასე „შხუილ-შხუილით" სიარულმა როგორც უკვე მოგახსენეთ ბოლოს და ბოლოს დასცა განათლების სისტემაცა და საქართველოც.

ეს ხომ ფაქტია!

რა ხდება დღეს?

დღეს ისევ აგორდა, უფრო სწორედ ააგორეს განათლების რეფორმის ტალღა, და მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ხალხის ყურადღების მისაქცევად და სახრავის გნებავთ ფულის საკეთებლად.

დიახ, დიახ ფულის საკეთებლად, თუ „ფული" ყურს ცუდად ჩაესმა, ბიზნესი დავარქვათ ბატონო, ოღონდ ნუ ავჩქარდებით, მივყვეთ რეფორმის მდინარებას თანმიმდევრულად და გავერკვეთ, მაინც რა სურს დღეს განათლების რეფორმაზე მოლაპარაკე ხალხს. მათ ლაყბობაზე მოგახსენეთ, თორემ განათლების რეფორმის განხორციელება დღეს რომ შეუძლებელია, ქვეყნის პირველი პირიდან დაწყებული სკოლის დარაჯამდე ყველამ იცის. რატომ? გამიოცდები, მოთმინება დაკარგულო მკითხველო? ამისი ათასი მიზეზი არსებობს, მაგრამ ერთი, უმთავრესი მაინც სრული უსახსრობაა. დღეს ჩვენმა მთავრობამ რომც მოინადინოს იმ უზარმაზარი, მე ვიტყოდი ზღაპრული თანხის გამონახვა, რაც განათლების სისტემას ფეხზე დააყენებდა უბრალოდ ვერ შეძლებს უფრო მეტიც, იგი ვერც უახლოეს ათ-თხუთმეტ წელიწადში შესძლებს ამას. მოდით, ჯერ-ჯერობით ეს ერთი, საკმაოდ სერიოზული არგუმენტი ვიკმაროთ იმის ნათელსამყოფად რომ ამჟამად მთავრობა განათლების სისტემის რეფორმის განმხორციელებელი არაა და, თუ ამ თემაზე უწინდებურად იწყებს საუბარს, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ არავინ უსაყვედუროს: რატომ დაქცეულ სისტემას ყურადღებას არ აქცევთო. ეგ არის და ეგ, რაც შეეხება განათლების სისტემის ე. წ. შეკეთება-შელამაზებას, გნებავთ, შეფერუმარილობასა და „პოტიომკინის სოფლების მშენებლობას", იგი რომ რეფორმა არაა, პროფესიონალებმა ჩემზე უკეთ იციან.

ახლა დავსვათ ეს „ცოდო-მადლიანი" კითხვა — გვჭირდება თუ არა, ბატონებო, განათლების სისტემის რეფორმა?

არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს — იგი აუცილებელია და გვჭირდება. უფრო მეტიც რეფორმა სულ ცოტა 30-40 წლით მაინცაა დაგვიანებული, სამწუხაროდ მაშინ, როდესაც მისი განხორციელება ნაწილობრივ მაინც შეიძლებოდა არც ღმერთი და არც კაცი უპირველესად კრემლს, შემდეგ კი ჩვენი რესპულიკის ყალბისმქმნელ ჩინოვნიკობას არ სურდა. ეს ხოლო დღეს, როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ დიდებული საქმის განხორციელება თითქმის შეუძლებელია.

აი სიტყვა „თითქმის" დავწერე. იცით, რა მაქვს მხედველობაში? ყველას გაგიგონიათ, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. აი, საქართველოდან გაზიდულ და უცხოეთის ბანკებსა თუ კერძო პირების ჯიბეში უკანონოდ „მოყუჩებულ" მილიონებისა და მილიარდების დაბრუნება რომ მოხერხდებოდეს, მაშინ იქნებ სერიოზულად გვეფიქრა დღეისათვის განუხორციელებელ პრობლემებზე-მეთქი. მაგრამ ვაი, რომ დღევანდელი ხელისუფლების შემხედვარე თვით ფიქრიც კი ამ საკითხზე უტოპიაა.

მაშ ასე, რეფორმა აუცილებელია. განხორცილების საშუალება კი ჯერ-ჯერობით არ გვაქვს, მაშ, რა გვჭირს, რას ვქაქანებთ? ალბათ ის, რაც უკვე მოგახსენეთ; მთავარობას აინტერესებს ის, რომ უმოქმედობა არ დავწამოთ, ხოლო მაამებელთ — სახრავი.

სახრავი, რა თქმა უნდა, ძველებური დოზისა აღარ იქნება, რადგან უცხოური კრედიტები ასგზის უფრო გამოჯერგილი ფინანსისტების მიერ იქნება სამათხოვროდ და სესხად გამოწვდილი, ხოლო გაძვალტყავებულ მასწავლებლობისაგან საატესტაციო ქისიდან გაღებული კაპიკები (რომელზეც ჩვენდა სამარცხვინოდ უკვე ხმამაღლა გაისმის საუბარი) ვშიშობ, ყელზე არ დაადგეს შეჭირვებულთა შემჭირვებელთ.

რაკი მასწავლებელთა ყბადაღებულ ატესტაციაზე ჩამოვაგედ საუბარი, პირდაპირ უნდა განვაცხადო: ატესტაცია ისევე, როგორც რეფორმა, აუცილებელია, საჭიროა და იგი გარკვეული პერიოდულობით სისტემატიურად უნდა ჩატარდეს, მხოლოდ დილეტანტი და ბრიყვი იტყვის უარს მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ყოლაზე სასწავლო თუ ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში, მაგრამ აქვე დავძენ, ამჟამად მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარება, ყველაზე რბილად რომ ვთქვათ, ყოვლად გაუმართლებელი, უტაქტობა და მკრეხელობაა. მიზეზი უამრავია და მათ ჩამოთვლას გაზეთის ერთი გვერდი არ ეყოფოდა, ამიტომ მე, როგორც სიტყვიერების მასწავლებელთ საქმიანობის ასე თუ ისე მცოდნე, მოკლედ ვიტყვი: დღეს ატესტაციის ჩატარების შემთხვევაში მიუხედავად იმისა რომ საატესტაციო ტესტი ნამდვილად არ არის რთული ქართული სკოლების 30-40%, ხოლო ნაციონალური სკოლების 60-70% ქართული ენისა და ლიტარატურის მასწავლებლების გარეშე დაგვრჩება: ცოტა უფრო უკეთესი, ან უარესი შდგომარეობა შეიქმნება ალბათ სხვა საგნის მასწავლებლების მხრიდანაც და თავადვე ჩაიგდებს თავს რეფორმატორები, მეტი რომ არ ვთქვა, ძალზედ უხერხულ მდგომარეობაში.

აბა, ერთი წუთით ჩავფიქრდეთ, პარლამენტარებო, განათლების სისტემის პროფესიონალო მუშაკებო, მკითხველო და სპეციალისტებო, გვყავს კი ჩვენ ამჟამად ამ რაოდენობის მაღალკვალიფიციური სპეციალიტები? ურომლისოდაც არამარტო ატესტაცია, თვით რეფორმაც აზრს კარგავს? და რომც სასწაული მოხდეს და ვიპოვოთ სპეციალისტები, წავლენ კი ისინი, ვთქვათ, წალკაში ან ახალქალაქში 20-30 ლარის, გნებავთ 50 ლარის საფასურად?

როცა ყველაზე დაბალი რანგის მასწავლებლის ხელფასი საარსებო მინიმუმს მაინც მიაღწევს და კვალიფიციური სპეციალისტებიც გვექოლება, მორალური უფლება გვქნება მათი ატესტაციისაც, სასწავლო დაწესებულებებიდან ულირსთა სრულიად მოურიდებლად გაშვებისაც. მანამდე, კი ჩემი თხოვნა იქნებოდა: ნუ გავაუკუღმართებთ რეფორმას, სიტყვას საქმე მოვაყოლოთ და ძველებურად ნუ ვეძებთ მხოლოდ საკბილოს.

ხოლო თუ არ დავიშლით და რეფორმის გატარება ნამდვილად გსურთ, მეორე წერილში საუბარი მექნება სწორედ ამ საკითხებზე თუ რა ღონისძიების გატარება იქნებოდა საჭირო რეალური რეფორმის დასაწყებად.

**ოთარ ბარათელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისტორია მეორდება

კარგა ხანია პარლამენტმა თავისი შესაძლებლობა თუ პოლიტიკური კრედო გამოჰკვეთა და თანდათან თავისი უუნარობის, უმწეობის, უსუსურობის გამო მთელი ძალაუფლება ერთ პიროვნებას გადაულოცა. ვიყოთ რეალისტები წელსაც ხომ პრეზიდენტისა და მისი გუნდის მეოხებით სრული უილაჯობა, უხელფასობა და შიმშილი გველოდება? ხითხითებს პრეზიდენტი, თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში ზარზეიმები იმართება. ბოლო არ უჩანს ალლუმებს. არც მეტი არც ნაკლები აშკარად გვიგდებენ აბუჩად და დაგვცინიან. ქანცგაწყვეტილი ქვეყანა დრტვინავს, ბაზარს ცეცხლი უკიდია, საშველი „არ არის, არ არის“.

ცინიზმი მეფობს საქართველოში! განა ცინიზმი არ იყო კანონიერი ხელისუფლების დამხობა? განა ცინიზმი არ იყო „ესენგეში“ შესვლა? განა ცინიზმი არ იყო ენგურის სანაპიროზე რუსის ჯარის ჩამოყენება? განა ცინიზმი არ იყო საქართველოს ქონების 150 მილიონ დოლარად შეფასება ვაუჩერის სახით რომ დაგვირიგეს? ცინიზმის უმაღლეს გამოვლინებად მაინც პენსიონერთა დღევანდელი საპენსიო თანხა და თვით მუშამოსამსახურეთა, განსაკუთრებით კი ინტელიგენციის ხელფასები მიგვაჩნია. ვნახოთ რისი ყიდვა შეუძლია პენსიონერს თავისი ერთი თვის პენსიით თბილისის ბაზრებში: 1,8 კარაქი ან 45 ც კვერცხი, უკეთეს შემთხვევაში 16 კგ პური! სულ ეს არის. ასევე ლაფავს სულს ფაქტიურად უხელფასოდ დარჩენილი ხალხიც.

ყოველი დღე ნაცვლად აღმავლობისა უფსკრულისაკენ მიაქანებს საქართველოს ეკონომიკას. არ მუშაობს ვითომდა პრივატიზებული ფაბრიკა-ქარხნები (180), ისინი ხომ მძარცველებმა ჩაიგდეს ხელში მუქთად. დაუმუშავებელია ჩაის პლანტაციები, ზვრები, ციტრუსები, ბაღები, ყანები, ცხვარ-ძროხა მითვისებულია და თითქმის გაწყვეტილია, მეფრინველეობის ფერმები განადგურებული... ქალაქად და სოფლად ზეობს ძალადობა, ქურდობა... მოკლედ, სრული ანარქიაა!... განმკითხავი არავინაა... პარლამენტის ზოგიერთი წევრი ამ დროს ფეშენებელურ რესტორანში დაბადების დღეს იხდის, ან მეგობრებთან ერთად უბრალოდ დროს ატარებს ქალაქგარეთ. და ეს მაშინ, როდესაც ქალაქის მიწისქვეშა გადასასვლელები და მეტროთა სადგურები მათხოვარი პენსიონერებით, ხელმოკლე დედებით, მშიერი ბავშვებითა და უმწეო ხეიბრებით არიან გატენილი; არა ერთი ჭეშმარიტი მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი, მეცნიერი კარგა ხანია შიმშილობს, რადგან ჰონორარი საერთოდ არ არსებობს, ხოლო ხელფასი, რომელსაც ის იღებს, სამი-ოთხი დღის სამყოფ მწირ პროდუქტს თუ ყოფნის... განმკითხავი კი არავინაა! იცხოვრე, როგორც გეცხოვრებაო საკითხავია 10-15 ლარი თუ რიგით მოკვდავთათვის საკმაოა, რატომ ინიშნავენ პრეზიდენტი, სახელმწიფო მინისტრი, პარლამენტარები, მინისტრები და სხვები 200-300 ლარს ხელფასად?

ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივში ერთ საინტერესო დოკუმენტს წავაწყდი. ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის მისი გაცნობა, რადგან იგი მკრთალად მაინც წარმოგვიდგენს რუსების — მეთერთმეტე არმიის მიერ საქართველოს მეორადი ანექსიით გამოწვეულ ეკონომიურ ყოფაცხოვრების სურათებს. საქმე ეხება გამოჩენილი კომპოზიტორის, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის მუსიკის ავტორს კოტე ფოცხვერაშვილს და საერთოდ ქართველ მეცნიერთა და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეჭირვებულ ცხოვრებას.

ბატონ კოტე ფოცხვერაშვილს 1922 წლის 10 მაისს მიუმართავს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსათვის შემდეგი განცხადებით: „ჩვენ ხელოვანთა ახლანდელ ნივთიერ ხელმოკლეობას საზღვარი არა აქვს და მეც მათ შორის საშინელ გასაჭირს განვიცდი. თუ სადმე სამსახურში ვიყავით, „შეგვამოკლეს“ და, სადაც დავრჩით, ორი დღის სარჩოსაც დროზედ ვერ ვიღებთ. თეატრები და წარმოდგენები არაფერს იძლევიან, რადგან სპექტაკლებს ხალხი ნაკლებად ესწრება. კერძოდ, ჩემი მდგომარეობა განსაკუთრებული და აუწერელია. სხვა უბედურებასთან ერთად ჩემს სოფელში სიმშილობა გაჩნდა და ჩემს ოჯახს 14 სული ზედმეტი სარჩენი ტვირთად აეკიდა. მივმართე დამშეულთა კომიტეტს და, რომ არაფერი გამოვიდა, დიდ ვალებში ჩავარდი. მივმართე „ნარკომპროსს“ და იქაც ყური ვერ მათხოვეს უსახსრობის გამო და, რადგან ყოველივე გზა მომერყა, მხოლოდ ამისათვის იძულებული ვარ მოგმართოთ პირდაპირ თქვენ. ჩემი 25 წლის სამუსიკო მოღვაწეობის განმავლობაში რევოლუციის მწარმოებელთა სასარგებლოდ, რაც ყველამ იცის, გამიმართავს, უმეტეს ასი კონცერტისა და მათი შემოსავალი, ახლანდელი კურსით რომ ვიანგარიშოთ, არა ნაკლებ ათი მილიარდისა, მიმიცია უმეტესად სოციალისტურ მოძრაობისათვის. მე იმედი მქონდა და სხვებიც ამასაც მპირდებოდნენ, რომ ახალ გარდაქმნილ ხანაში უზრუნველყოფილნი ვიქნებოდით თავისუფალი შემოქმედებისათვის. ნამდვილად კი ლუკმა პურისათვის ქუჩა-ქუჩა მიხდება სიარული. რამოდენიმე ჩემი თვალსაჩინო თხზულება მენშევიკების დროს რევოლუციამ იმსხვერპლა. სხვები კი ეხლანდელი პირობების გამო ზოგი არ იდგმება და ზოგიც დიდი ხარჯების გამო ვერ დავდგით. თუ რამე მქონდა ნაშოვარი და მომარაგებული, იმითი სხვასთან ერთად ხელოვნების აყვავების მიზნით, თეატრს ვაშენებდი და ეს თეატრი „ვესენხამ“ დამინგრია და წამართვა. მიუხედავად იმისა, რომ ორგვარი უმაღლესი სწავლა მაქვს მიღებული (საზოგადო და სამუსიკო), ხალხიც მენდობა და ინვალიდიც არა ვარ ჯერჯერობით, ეხლანდელ დროში სამუშაოც ვერ მიშოვია, რადგან ერთად ერთი ორგანიზაცია, რომელიც მებარა (აკადემიური გუნდი), ისიც გამომგლიჯეს ხელიდან ა. წ. 10 აპრილს და დაშალეს. მოგახსენებთ რა ყოველივე ამას და გიდგენთ რა საბუთს იმის შესახებ, რომ ჩემს გაჭირვებულ მდგომარეობას 14 სული დამშეულიც მიემატა სარჩენად, გთხოვთ აღმომიჩინოთ ერთდროული ნივთიერი დახმარება. ამასთანავე გთხოვთ, უფასოდ თქვენი განკარგულებით ერთი დღე სახელმწიფო ოპერაში ჩემი სიმფონიური პოემის „ამირანის“ და სამუსიკო ლეგენდის „პირისმზის“ დასადგმამად, ანდა ნება დამრთეთ დავდგა იმავე თეატრში ჩემ მიერ ქართულად გადმოღებული ოპერა „ღალატი“, რომელიც მთავრობის მიერ აკრძალული არ არის და სათეატრო ადმინისტრაციას კი ვერ გაუბედნია მისი დადგმა. ამასთანავე გიდგენთ „ამირანის“ ლიბრეტორს და საბუთს მის შესახებ, რომ აკრძალულია პიესა „ღალატი“ და არა ოპერა „ღალატი“.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ეს ის დროა როცა 1 გირვანქა (400 გრ) ხორცი 25 ათასი მან ღირს, პური — 15-18 ათასი, ცხიმეული — 12 000, კარტოფილი 1 გირვანქა — 600...

ეს ის დროა, როცა ეკონომიკურად ქანცგაწყვეტილი ინტელიგენცია შიმშილით დაღუპვის კარამდეა მისული და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო იძულებულია ორი-პირველი და მეორე კატეგორიის პენსია დაუნიშნოს საზოგადო მოღვაწეთ.

პირველი კატეგორიის პენსიონერები გახდნენ: პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, მოსე ჯანაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, კორნელი კეკელიძე, გრიგოლ წერეთელი, გიორგი გეხტმანი, დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, დომინიკე განდეგილი, შიო მღვიმელი.

მეორე კატეგორიაში კი შევიდნენ: დუტუ მეგრელი, ზაქარია ჭიჭინაძე, ეკატერინე გაბაშვილი, არტურ ლაისტი, გრიგოლ რობაქიძე, ილია ჭავჭავაძის ქვრივი, ვაჟა-ფშაველას ქვრივი, ვალერიან გუნია, საფაროვა-აბაშიძე, მელიტონ ბალანჩივაძე, დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, ტასო აბაშიძე, კოტე ფოცხვერაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, ანტონ ფურცელაძისა და ნიკო ლომოურის ქვრივები, ანასტასია წერეთელი, შალვა დადიანი, იპოლიტე ვართაგავა...

დიახ, ასე იყო საქართველოში სამოცდაათი-სამოცდათხუთმეტი წლის წინათ!

რა ხდება დღეს?

ნუთუ ისტორია მეორდება?

დააკვირდით, გაავლეთ პარალელი 1922 და 1996 წლებს შორის? თითქმის ერთი და იგივე პოლიტიკური ვითარება — სრული ანარქია! ეკონომიკა უფსკრულის პირას!...

მეცნიერთა და ხელოვანთა ელიტას მაშინდელმა მთავრობამ (ასე თუ ისე იზრუნა და...) პენსიაც დაუნიშნა. დღეს კი?..

დაპირებები, დაპირებები და ისევ დაპირებები, რომელთა შესრულების არც თავი აქვთ, არც სურვილი. სოციალურად დაუცველი შიმშილით სიკვდილისთვისაა განწირული. როგორც ჩანს ისტორიით მართლაც მეორდება, მაგრამ უფრო მახინჯ ფორმებში!

ქართველი მწერლების ერთი ნაწილი კი ძველი მენტალიტეტით აგრძელებენ ცხოვრება-შემოქმედებას და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, მათი ბედი იმთავითვე იყო დაკავშირებული კომუნისტურ ყოფასთან. მერე კი — სახელმწიფოს მეთაურმა, დღევანდელმა პრეზიდენტმა იფიქრა მათზე. მისი მამობრივი მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდნენ ეროვნულ მოძრაობას დაპირისპირებული კალმოსნები. ზოგი მათგანი დღეს პრეზიდენტის ამალის წევრი და მრჩეველია. უმრავლესობა კი სოციალისტური რეალიზმის დამფუძნებელ ავტორიტეტდაკარგულ მწერალთა კავშირს შერჩა, თუმცა ეს მათ ხელს არ უშლის პუტჩისტ ბიზნესმენების თოფიანი თუ უთოფო მძარცველების ეკონომიური მფარველობის ქვეშ „ოტარიდებად“ თუ რაღაც მისმაგვარი ციურ პლანეტების სახელებდარქმეულებმა პრეზიდენტის ინტერესები მხატვრული სახეებით დაიცვან. ხელი ხელს ბანს — ორივე ხელი კი... და რა გასაკვირია, დღეს უკვე ჩამოყალიბებულ „მამა-მარჩენალს“ მათი ჭირი და ლხინი თავისად მიაჩნდეს. სამაგიეროდ განსხვავებული აზრის ჭეშმარიტი შემოქმედნი თვალითაც არ ენახვება.

ეტყობა, ისტორია მართლაც მეორდება, მაგრამ, სამწუხაროდ, მისგან არაფერი გვისწავლია!

ნანა ჯაფარიძე

# ი. ბ. სტალინი: „ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი“

## ლევან თოიძის წიგნიდან: ინტერვენცია, ოკუპაცია, ძალადობრივი გასაბჭოება, ფაქტობრივი ანექსია



რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითების შესაბამისად ამიერკავკასიაში 1921 წლის იანვრის დამლევიდანვე დაიწყეს ზრუნვა მე-11 წითელი არმიის შევსებისათვის. მოსკოვში რეგულარულად იგზავნება ცნობები საქართველოსთან ომისათვის მზადების შესახებ. კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრის ვ. ა. ტრიფონოვისა და ფრონტის სარდლის ვ. მ. გიტისის დეპეშაში, რომელსაც ვ. ი. ლენინი იანვრის დამლევს გაეცნო, ლაპარაკი იყო საქართველოსმდგომარეობისა და მე-11 წითელი არმიის დაკომპლექტების აუცილებლობაზე. ვ. ი. ლენინმა აუცილებლად მიიჩნია, რომ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 2 თებერვლის სხდომაზე სპეციალურად ემსჯელათ კავკასიაში ჯარის ნაწილების გაგზავნის შესახებ. 8 თებერვალს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა გ. კ. ორჯონიკიძის მიერ ბაქოდან 6 თებერვალს გაგზავნილი დეპეშა, რომელიც ისევ საქართველოს ეხებოდა და დაამტკიცა ამ დეპეშაზე ვ. ი. ლენინის მიერ მომზადებული პასუხის ტექსტი. მასში განსაზღვრული იყო საქართველოს ბოლშევიკების ხაზი. პოლიტბიურომ დაავალა გ. ო. ორჯონიკიძეს, რომ შეხვედროდა კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს ი. ტ. სმილგას და ცენტრალური კომიტეტისათვის მისი აზრიც შეეტყობინებინა.

ამ მიმოწერით საქართველოსთან ომის დაწყების დეტალებს აზუსტებდნენ, სტრატეგიული ხაზი ადრევე იყო განსაზღვრული. არც იმას უწევდნენ ანგარიშს, რომ უკვე 1921 წლის იანვრიდან საქართველო საერთაშორისო სარბიელზე გავიდა, როგორც ევროპის ქვეყნების მიერ იურიდიულად ცნობილი და აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფო. მზადება თებერვლის პირველ დეკადაში დამთავრდა. აზერბაიჯანში, სომხეთში, ყუბანსა და თერგის ოლქებში დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი. იმერეთის მეორე ბატალიონის ყოფილი უფროსი, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის მონაწილე აკაკი კვიტაიშვილი უცხოეთში 1966 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აღნიშნავს, რომ საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების წინადღეებში „ბოლშევიკებმა წინასწარ შეგზავნეს საქართველოს საზღვრებში, სომეხთა სოფლებში თავისი ემისრები, ისინი მოედვნენ სომხურ სოფლებს და იქ შეიტანეს იარაღი. გადაცმული სომხების „წითელი“ არმიის ჯარისკაცები შეიპარნენ სომხურ სოფლებში და თან იარაღი შეიტანეს“. და აი, 1921 წლის 11 თებერვალს, ნაშუაღამევს, ე. ი. ორი დღით ადრე, ვიდრე ლორეს ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარის ყოფნის ოფიციალური ვადა გათავდებოდა, რუსი კოლონისტების სოფლებში (ვორონცოვკა, პრივოლნოე, პოკროვსკოე და სხ.) დაიწყო ის ცნობილი „აჯანყება“, მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ „საქართველოს მშრომელთა აჯანყების“ სახელით რომაა ცნობილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

სწორედ ეს აჯანყება უნდა გამხდარიყო საბაბი საქართველოში წითელი არმიის შემოჭრისათვის, მაგრამ იგი ნამდვილიც რომ ყოფილიყო და არა ინსცენირებული, მაშინაც ვერანაირი მორალური გამართლება ვერ გამოეძებნებოდა აქაურ აჯანყებულთა დახმარების საბაბით წითელი არმიის მიერ საქართველოს ძალით გასაბჭოებას. ჯერ- ერთი, იყო კი უფლება მოსილი ვორონცოვკელი, პრივორნოელი, პოკროვსკოველი რუსი ან თუნდაც სომეხი მოსახლეობა მოეწყოთ აჯანყება მთელ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით? ასეთი სურვილიც რომ გასჩენოდა აქაურ მოსახლეობას და დასახმარებლად მართლაც რომ მიემართა მას წითელი არმიისათვის, მაშინაც კი საბჭოთა რუსეთის არმიას ამ თხოვნის შესრულებას არავითარი მორალური უფლება არ ექნებოდა. არ ექნებოდა იმიტომ, რომ ჯერ-ერთი, ვინ ჰკითხავს ერთი ქვეყნის (ვთქვათ სომხეთის) მოსახლეობას მეორე ქვეყნის (საქართველოს) გასაბჭოებას ისიც მესამე ქვეყნის (რუსეთის) დახმარებით მით უფრო. რომ რუსეთს საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. ასეთი თხოვნა საბჭოთა რუსეთს არათუ არ უნდა შეესრულებინა. არამედ უნდა დაეტუქსა კიდეც მისი ავტორები. ნეიტრალური ზონის გლეხებს შეეძლოთ, რასაკვირველია, აჯანყებულიყვნენ საქართველო-სომხეთის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ლორეს ნეიტრალურ ზონაში დროებით დაბანაკებული ქართული ჯარის წინააღმდეგ თუ ეს ჯარი მათ აწუხებდა, ან არც არაფერს უშლიდა. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო უბრალოდ არ სურდათ უცხო ჯარის ნაწილების ყოფნა ამ ზონაში. უფრო მეტიც. ნეიტრალური ზონის მოსახლეობას შეეძლო ქართული მხედრობისაგან ზონის გასანთავისუფლებლად წითელი არმიისათვის ეთხოვა დახმარება. მაგრამ მათი ერთობლივი ბრძოლა (თუ ეს აუცილებელი გახდებოდა) ნეიტრალურ ზონაშივე უნდა დასრულებულიყო და საქართველოს ოფიციალურ საზღვარს აქეთ აღარ გაგრძელებულიყო. გარდა ამისა, თუ მართლაც ზონის ბედი აინტერესებდათ, ხომ შეიძლებოდა წაეყენებინათ ულტიმატუმი საქართველოს მთავრობისათვის, რომ ქართული მხედრობას ვადაზე ადრე დაეტოვებინა ზონა, ან კიდევ ორი დღე მაინც დაეცადათ, იქნებ საქართველოს ჯარი თავისით გამოსულიყო ზონიდან. შექმნილ ვითარებაში ის ხომ პირობის დარღვევას ვერ გაბედავდა. არა, საქართველო ლორეს მთლიანად, ცხადია, ვერ დათმობდა. მაგრამ იგი კვლავინდებურად მშვიდობიანი მოლაპარაკების საფუძველზე შეეცდებოდა საზღვრების გამიჯვნა-განაწილებას.

(გაგრძელება იქნება)

## მუმლი მუხასაო...



## საბედისწერო ოთხკუთხედი

ქართველებმა და აფხაზებმა, ქართველებმა და ოსებმა მშობლიურ მიწაზე კვლავაც ერთად უნდა იცხოვრონ,. სხვა ალტერნატივა არ არსებობს. მაგრამ, მათ შორის დაღვრილი სისხლი მშვიდობიანი თანცხოვრების პერსპექტივას არ ემუქრება? შურისძიების, სამაგიეროს გადახდის გრძნობა ისევ შეხლა-შემოხლას არ გამოიწვევს? ეს კითხვები საფუძველს მოკლებული არაა. მაგრამ ისტორიულ გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, შერიგება შესაძლებელია. დრო ყველაფერს კურნავს.

ავილოთ, მაგალითად, რუსეთ-გერმანიის ურთიერთობა. მათ ვრთხოების დაცვა. ვინც არ უნდა იცხოვროს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ქართველებმა თუ აფხაზმა, რუსმა თუ ოსმა, სომეხმა თუ ბერძენმა იგი საქართველოს მოქალაქე იქნება. ეს აქსიომაა, რომელსაც დამტკიცება არ სჭირდება. სახელმწიფო კი თავის მოქალაქეს დაიცავს.

არის მეორე მხარეც: დანგრეული ქალაქები და სოფლები აღსადგენია. ორივე კუთხეში გრანდიოზული მშენებლობა გაჩაღდება. ეს პროცესი, ბუნებრივია, ახალ-ახალ ენთუზიაზმს დაბადებს, ათასობით მუშახელს მოიზიდავს. გვერდითი გვერდით დგომა, ცხოვრება და შრომა გაბზარულ გულებს

## მშვიდობიანი თანაარსებობა

შორის განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა მეორე მსოფლიო ომი. 1945 წელს და უფრო გვიანაც ვერავინ წარმოიდგენდა რუსეთი გერმანიის მეგობარი ქვეყანა გახდებოდა. დრომ მოიტანა და ორივე ქვეყანამ გულის ჭრილობა მოიშუშა. ომმა, რომელმაც 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ამ ორ ხალხს შორის საბოლოო მტრობა ვერ ჩამოაგდო.

რა თქმა უნდა, ეს პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობდა და ამაში გასაკვირი არაფერია. ავილოთ ცალკე გერმანია. ბერლინის კედლის დანგრევამ ორადგაყოფილი გერმანია გააერთიანა, მაგრამ დღესაც დასავლელი გერმანელები აღმოსავლელებს ძმებივით გულში არ იხუტებენ. გაუცხოების გრძნობამ თავისი ჰქნა. მაგრამ გაივლის დრო და ეს ემოციური ზღვარიც წაიშლება. მართალია, გაერთიანება ძნელი აღმოჩნდა არა მარტო ეკონომიკურად, არამედ, ვიმეორებ, ემოციურადაც, მაგრამ ვის შეეპარება ეჭვი იმაში, რომ გერმანელები გამყოფი კედლის დანგრევას ბედნიერებად არ აღიქვამენ.

აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ლტოლვილთა დაბრუნება მწვავე პრობლემებს წარმოშობსო, მაგრამ საბოლოო ანგარიშში მათს უსაფრთხოებას საფრთხე არ დაემუქრება. ამის გარანტი იქნება საქართველო, როგორც ერთიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის. ზრუნვის საგანი გახდება თავისი მოქალაქის უსაფ-გააერთიანებს, აღდგება შეწყვეტილი მეზობლური თუ ნათესაური ურთიერთობები. გაივლის არც ისე დიდი დრო და ახალი თაობა ცუდი სიზმარივით აღიქვამს ახლანდელი კონფლიქტის გახუნებულ სურათს.

რა თქმა უნდა, ცალკეული რეციდივები, გამოხდომები გამორიცხული არაა. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება: ისეთ დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიც ამერიკაა, განა მკვლელობები, ძარცვები, ადამიანთა გატაცებები არ ხდება? რამდენიც გნებავთ! მაგრამ მთავარია ყოველივე მსგავსი უბედურება ეროვნებათა გამო არ ხდება. დღეს ამ ქვეყანაში შავკანიანიც და თეთრკანიანიც ძმებივით ცხოვრობენ. ჩვენ კი უფრო მეტი შესაძლებლობანი გვაქვს, რადგან საუკუნეების განმავლობაში ერთად ცხოვრების ისტორიული გამოცდილება ზურგს გვიმაგრებს.

ამ წერილზე მუშაობისას შევხვდი და ვესაუბრე, არაერთ ლტოლვილს, თითქმის მათი უმეტესობა მსგავსი აზრისაა. ხალხი დაიღალა. ყველას უნდა მშობლიურ კერაში მშვიდობიანად ცხოვრება. თითო-ოროლა, რომ იტყვიან, ურაპატრიოტი ყველა კუთხეში მოიძებნება. მაგრამ ისინი ამინდს ვერ ქმნიან.

მიტევების, კეთილგანწყობის ატმოსფეროში ლტოლვილთა დაბრუნება კი, უპირველესი ამოცანაა. უნდა ვიყოთ შორსმჭვრეტელები, რათა უნარი შეგვწევდეს ხორცი შევასხათ უმთავრეს მიზანს.

## როდის დავბრუნდებით მშობლიურ აფხაზეთში?

ეს მწვავე კითხვა მხოლოდ ლტოლვილთ როდი აწვალებს.

ამ კითხვაზე პასუხს კარგა ხანია ყოველი ქართველი მოელის.

დრო ულმობლად გადის, კითხვა კი კვლავ კითხვად რჩება. ე. წ. სამშვიდობო ჯარები, როგორც ეს უკანასკნელმა მოვლენებმა ნათელყო, ჩვენთვის სასიკეთოს არაფერს აკეთებენ.

და ასეთ რთულ ვითარებაში მთელმა ქართულმა საზოგადოებამ ბუნებრივ მოვლენად აღიქვა აფხაზეთის დეპუტაციის საშიმშილო აქცია. ნიშანდობრივია თვით საქართველოს პრეზიდენტის განცხადება... „თანაგრძნობით შევხვდი აფხაზეთის დეპუტაციის საშიმშილო აქციას, რომელიც ოთხწლიანი იმედგაცრუების გამოვლინებად მიმაჩნია“. ამასთან ეჭვიც არის გამოთქმული: ...„თუმცა, მიმაჩნია, რომ მათ მოქმედებას, ამ მომენტისათვის, რაიმე პრაქტიკული შედეგი მოჰყვეს“.

რა თქმა უნდა, ეს ეჭვი არა მარტო პრეზიდენტს აწუხებს, ბევრი საღად მოაზროვნე ადამიანი ასეთივე ეჭვით შეჰყურებს ოკუპირებული ტერიტორიიდან რუსეთის ჯარის ნებაყოფლობით წასვლას. იმპერია ასე იოლად არ დათმობს ყველაზე გემრიელ ლუკმას. თავად რუსეთში სტაბილური მდგომარეობა არაა. მოსალოდნელია საკადრო ცვლილებები, მაგრამ ყოველივე ეს, ალბათ, აფხაზეთის პრობლემას ვერ მოხსნის, პირიქით, როგორც გენერალმა ლებედმა განაცხადა, აფხაზეთსა და მთიან ყარაბაღში მოსალოდნელია სიტუაციის დაძაბვა, რუსეთის მხრივ იმდენად, რამდენადაც მათი სურვილია სოციალური და სხვა პრობლემებიდან ყურადღება ისევ ასეთ საკითხებზე გადაიტანონ.

ბევრი რამ დამოკიდებული იქნება თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა შეხვედრაზე, რომელიც მარტის ბოლოს გაიმართება. „თუმცა, ესეც, ალბათ, რაღაც ერთი რეზოლუციით დამთავრდება და, სიმართლე გითხრათ, ძალიან დიდი იმედს ამ შეხვედრაზე არ ვამყარებ“, თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში. როგორც ვხედავთ, პრობლემა ისევ ღია ჭრილობად რჩება.

თვით აფხაზეთში სიტუაცია დაძაბულია. სამშვიდობო ძალებში ხელმძღვანელობის შეცვლას რამე სასიკეთო ცვლილებები არ მოჰყოლია. ამაშიც იმედი გაგვიცრუვდა. ტერორისტული აქტებითა და დივერსიებით შეშფოთებული აფხაზეთი ირყევა. კლანური დაპირისპირება თავის კულმინაციას აღწევს. აფეთქებები სოხუმში, გუდაუთაში, ოჩამჩირეში, გალში მძიმე კვალს ტოვებს. სამშვიდობო ძალების სარდალი კი ურცხვად აცხადებს, რომ ეს თბილისიდან ხდება. იგი საკუთარი ცხვირის წინ თუ რა ხდება, ამას ვერ ხედავს და, ამასთან, თავისი მიზანსწრაფულობის დემონსტრირებას ახდენს: სამშვიდობო ძალები მხოლოდდამხოლოდ აფხაზ სეპარატისტებს იცავენ!

ზოგი შიშობს, და არც უსაფუძვლოდ, რომ ბოლოდროინდელი სასიკეთო მოვლენების შემდეგ საქართველოში შესაძლოა ვითარების გარკვეული დაძაბვა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ კვლავ ქაოსისა და ანარქიის შავი ტალღა აგორდეს. დღევანდელ საქართველოს ძალა შესწევს ყოველივე ეს თავიდან აიცილოს. თბილისი დესტაბილიზაციის მოსურნეთა ასპარეზად არ უნდა იქცეს.

ქართველმა ხალხმა წარსულისგან სწორი დასკვნა გამოიტანა და იგი „გუშინდელი დღის“ დასაბრუნებლად თითსაც არ გაანძრევს. პირიქით, მას მშვიდობა, სიმშვიდე, საარსებო პირობების გაუმჯობესებისათვის შრომა სჭირდება. მაგრამ ისიც დღესავით ცხადია, ყოველივე ამის გასაღები აფხაზეთში ძევს.

საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა: „მინდა აფხაზთა ხელმძღვანელებს შევთავაზო, მოდით, დავიწყოთ მოსახლეობის დაბრუნება პარალელურად შევქმნათ პოლიციის ერთობლივი რაზმები. დარწმუნებული ვარ, უმოკლეს დროში იდეალურ წესრიგს დავამყარებთ. ჩვენ ამის საკმაო გამოცდილება გვაქვს. ეს სამუშაო შეიძლება დავიწყოთ გალის რაიონით და შემდეგ, ვნახოთ...

...ყველამ უნდა შეიგრძნოს, რომ არ არსებობს სხვა გზა, გარდა ორი ხალხის მშვიდობიანი თანაარსებობისა და ამ ხალხების შერიგებისა“.

ცხადია, ეს იქნებოდა პრობლემის ყველაზე სასურველი გადაწყვეტა. მაგრამ დღეისათვის აფხაზ ლიდერებს ასეთი იდეის გაგონებაც არ სურთ.

და მაინც:

მტკიცედ გვწამს მოგვარდება აფხაზეთის პრობლემა. არ შეიძლება არ მოგვარდეს.

მაგრამ როგორ, რა გზით?

ომით?

ქართველი კაცისთვის უცხოა შიშის გრძნობა. იგი ყოველ წუთს მზად არის ხმლით დაიცვას მამულის ტერიტორიული მთლიანობა და ერთიანობა. დღეს საამისოდ საკმაო ძალაც გვაქვს.

მაგრამ ვის უნდა ვეომოთ? აფხაზეთში უცხო პლანეტიდან ჩამოსულები კი არ ცხოვრობენ, არამედ ადამიანები, რომლებთანაც საუკუნეების განმავლობაში მშვიდობიანად და მეგობრულად გვიცხოვრია და დღეს თუ ხვალ კვლავ მათთან უნდა გავიყოთ ჭირი თუ ლხინი. სისხლის სამართლის დამნაშავენი კი დაისჯებიან.

მაშ, ვის, რუსეთის იმპერიას? იმპერიას, რომელიც დღეს თუ ხვალ ისევ აფხაზებს გადაყლაპავს, რუსებად აქცევს. მალე, სულ მალე თვით აფხაზები ამ ჭეშმარიტებაში დარწმუნდებიან და იმასაც მიხვდებიან, რომ აფხაზთა გადარჩენა ისევ ქართველთა ხელშია.

აქ ჩეჩნეთის მაგალითი არ გამოდგება. არავინ იცის, ატორტმანებული შავი რუსეთი ხვალ რას იზამს. მის იმპერიულ მადას რა გააძღობს!

გამოსავალი მხოლოდ ერთია: თვით ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი მოლაპარაკებით, ლტოლვილთა დაბრუნებითა და ერთობლივი ძალებით პრობლემის გადაჭრა, პრობლემისა, რომლის დროული გადაწყვეტა თავად აფხაზებს გადაარჩენთ.

შესაძლოა ვინმე შემედაოს: რა მშვიდობა! რისი მშვიდობა! ავისხათ იარაღი და სოხუმისკენ გავწიოთო. არ ვუარყოფ, სამწუხაროდ, შესაძლოა ასეთი მომენტიც დადგეს. მაგრამ სასურველია ასეთი სისხლიანი გზით სიარული არ მოგვიწიოს... მახსენდება სიმღერიდან სტრიქონები: „ნურც მოფრინდები, ნურც გაფრინდები“... მაშ, რა ჰქნას საწყალმა ჩიტმა!

მართლაც, რა ვქნათ?

გული არ მითმენს საბჭოთა კავშირში აშშ ყოფილი ელჩის ჯეკ მელტოკის წიგნის „იმპერიის გაკვეთილის“ ქართული თარგმანისათვის დაწერილი ავტორის წინასიტყვაობიდან არ მოვიყვანო პატარა ამონაწერი:

„მიუხედავად ყველა ამ სირთულისა, რომელიც საქართველოს ახლო წარსულში შეხვდა, დარწმუნებული ვარ, მას ბრწყინვალე მომავალი აქვს. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს აქვს სამი უდიდესი უპირატესობა: ეს არის ღმერთის მიერ დედამიწაზე მისთვის არჩეული ადგილი, ლაღი და კეთილშობილი ხალხი და მსოფლიო მნიშვნელობის ბრძენი ლიდერი, ჩვენი საუკუნის ჭეშმარიტად უდიდესი პიროვნება“.

ეს „სამი უპირატესობა“ ის ძალაა, რომელმაც ტაძრამდე უნდა მიგვიყვანოს.

აი, ამ „სამმა უპირატესობამ“ დადებითი პასუხი უნდა გასცეს კითხვას: როდის დავბრუნდებით მშობლიურ აფხაზეთში?

ჯაბა ჯიქია

## ბედი ლტოლვილთა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისი, მოსკოვი, სოხუმი, ცხინ[illegible]

მოთხოვნა — რუსეთმა საქართველოდან გაიყვანოს ჯარი — ხომ არ გულისხმობს ამ ქვეყანასთან მეგობრობაზე უარის თქმას? კითხვის ასე დასმაც მკრეხელობაა. რუსეთთან საქართველოს სამტრო არაფერი აქვს, თუ:

ჩვენს ქვეყანას ჩვენვე დაგვანებებს.

გახდეს, რუსეთმა ყურად უნდა იღოს საღი აზრი, ჩეჩნეთის მწარე გამოცდილებიდან სწორი დასკვნები გამოიტანოს.

დაადგება კი რუსეთი ურთიერთობის ნათელ გზას?

ბევრს მიაჩნია, რომ რუსეთი იმპერიული ბაცილიით ისე არის დაავადებული, ამ სენისგან მისი განკურნება შეუძლებელია.

## რუსეთი უნდა გამოფხიზლდეს

აფხაზეთთან, ოსებთან და საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების ადამიანებთან ჩვენ თავად გამოვნახავთ საერთო ენას. ჩვენვე დავიცავთ ჩვენს ტერიტორიას, ჩვენს საზღვრებს. არც რუსეთის ინტერესები იქნება უგულველყოფილი.

ასეთ შემთხვევაში რუსეთი გადაიქცევა საქართველოს ჭეშმარიტ მეგობრად, და ჩვენს შორის დამყარდება ახალი, ძმური ურთიერთობები. თბილისი და მოსკოვი დაძმობილებულ ქალაქებად იქცევა.

მაგრამ ეს სურვილი (ორივე ქვეყნისთვის) რეალური რომ თუ რამდენად სწორია ეს აზრი, დრო გვიჩვენებს. ერთი კი დღესვე შეიძლება ითქვას: რუსეთი აბობოქრებულ ტალღებში მოქანავე გემს ჰგავს. მისმა კაპიტანმა დიდი გამჭრიახობა და გამბედაობა უნდა გამოიჩინოს, რომ გადარჩეს, არ დაიღუპოს. ეცადოს, საქართველო არ გადააქციოს კიდევ ერთ ძლიერ ტალღად, რომლის მძლავრმა დარტყმამ შესაძლოა ხელი შეუწყოს გემის ჩაძირვას.

მოსკოვი რაც ადრე ჩაწვდება ამ ჭეშმარიტებას, ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება.

## გვახსოვდეს სამაჩაბლო!

სამაჩაბლოში აფხაზეთთან შედარებით უფრო „დათბა", როგორც იტყვიან, ყინული გალღვა. ლიახვის დიდ ხეობაში იყვნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, მწერლები. ლიახვის ცხრა სოფელში, რომლებიც მთლიანად ქართველებით არის დასახლებული, ქართული სკოლები კვლავაც ფუნქციონირებენ. იქაურ პედაგოგებსა და მოსწავლეებს სტუმრად ეწვივნენ საქართველოს განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, ჩაუტანეს წიგნები, სხვა სასკოლო ნივთები, გაიმართა გულღია საუბრები.

დადიან ავტობუსები. გორსა და ცხინვალში ხშირად ნახავთ მოვაჭრე ქართველებსა და ოსებს. როგორც ჩანს, ლტოლვილთა დაბრუნებაც ცხრა მთას იქით არაა, გამოიკვეთა სინათლის კონტურები.

მაგრამ იმის თქმა არ შეიძლება, რომ სამაჩაბლოს პრობლემა გადაჭრილია. მართალია, მრგვალ მაგიდასთან მოლაპარაკების გზით ორივე მხარე ცდილობს საერთო ენის გამონახვას, მაგრამ ისევ ღიად რჩება სტატუსის საკითხი. ეს კი კვლავინდებურად ცეცხლის დანთების საშიშროებას ჰქმნის.

ვარაუდობენ, რომ მოსკოვში, ქართულ-ოსური მოლაპარაკების მორიგ რაუნდზე მნიშვნელოვან დოკუმენტს მოაწერენ ხელს. ვნახოთ, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე.

## სახელმწიფო საზღვრის დაცვა

საქართველოს წყლებში რუსი მესაზღვრეების მიერ უცხოური გემების დატყვევების ფაქტმა, ოჩამჩირის ამბებმა, ჩეჩნეთთან ჩვენგან რუსეთის გამყოფი საზღვრის დაუცველობამ, მდინარე ფსოუზე შექმნილმა არანორმალურმა მდგომარეობამ და სხვა სამწუხარო მოვლენებმა ნათლად აჩვენა: რუსი მესაზღვრეები უხეშად არღვევენ იმ შეთანხმებას, რაც საქართველო-რუსეთს შორის არსებობს.

გენერალი ნიკოლაევი თბილისში ყოფნისას ბევრ სიკეთეს დაგვპირდება ხოლმე, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს, უფრო მეტიც, ყველაფერი კვლავაც ძველებური ხელწერით კეთდება. ყველაზე სავალალო ისაა, რომ რუსეთი საზღვარს ფსოუზე არ განიხილავს, როგორც რუსეთ-საქართველოს საზღვარს.

გამოდის, რომ საქართველოს საზღვარი დაუცველია.

## „წერეთელი ივანოვი რომ იყოს..."

ზურაბ წერეთელს ჩვენი წარდგინება არ სჭირდება. იგი მსოფლიოში ცნობილი ხელოვანია. მან ამ რამდენიმე წლის წინ მოსკოვს აჩუქა დიდებული მონუმენტი, რომელიც ახლა რუსეთის დედაქალაქში განქიქების საგნად იქცა, პეტრე დიდის ძეგლზე ზურაბ წერეთელს ანათემას გადასცემენ.

რა მოხდა, მოსკოვში მაინცდამაინც ახლა რატომ ატყდა ქართველ ხელოვანზე ასეთი აჟიოტაჟი? ამ კითხვას გულახდილი პასუხი გასცა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, როცა თქვა: „ზურაბ წერეთელს ჩემი ადვოკატობა არ სჭირდება. ერთს კი ვიტყვი, ის რომ ივანოვი იყოს და არა წერეთელი, ასეთი ალიაქოთი არ ატყდებოდა". დიახ, ეს სრული ჭეშმარიტებაა, მოსკოვი ვერ იტანს საქვეყნოდ აღიარებულ ქართველ ხელოვანს, თორემ ის ეროვნებით რუსი რომ ყოფილიყო, გულში ჩაიხუტებდნენ.

ნუთუ თუნდაც ეს მაგალითი თვალს არ აგვიხელს?

# გინახავთ გაქართველებული აფხაზი?

ამ ათიოდე წლის წინ, გაზეთ „ვეტერანში" მუშაობისას სოხუმში შევხვდი აფხაზეთში მცხოვრებ საბჭოთა კავშირის გმირს მელიტონ ქანთარიას. შემთხვევით ვისარგებლე და სახელმოხვეჭილ ჯარისკაცს რამდენიმე კითხვით მივმართე. ეს სახელდახელო ინტერვიუ, გასაგები მიზეზების გამო, გმირის სიცოცხლეში არც ერთ გაზეთში არ დაბეჭდილა.

დღეს პირველად ვაქვეყნებთ ამ საუბრის მოკლე შინაარს.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ აფხაზებთან?

— კეთილმეზობლური.

— მაგრამ...

— ვიცი, რაც უნდა მკითხოთ. სოფელ ლიხნში მყავს ერთი აფხაზი მეგობარი. ვინახულე. გახარებულმა მითხრა, არ მეგონა თუ ლიხნში ჩამოსვლას მოისურვებდი, რადგან ყველა აფხაზი ქართველების მოძულედ მიაჩნიათო. ასე რომ არაა, გავიაროთ სოფელში და თქვენვე დარწმუნდებითო. მართალი იყო ის კაცი! რუსების მიერ ამღვრეულ წყალში, სამწუხაროა, არაერთი აფხაზი მოღვაწე წამოეგო. მათ მოწამლეს ახალგაზრდობა!

მე გულს უფრო სხვა მიკლავს — გააფხაზებული ქართველობა. არას ვიტყვი ბიგვავაზე, ტაბალუაზე, ფიფიაზე, ლიხნში წერეთელი რუსულად რომ დაგიწყებს საუბარსა და მტკიცებას — აფხაზი ვარო, ტვინში სისხლი არ აგივარდება?! გუდაუთაში შევხვდი ერთ აფხაზ ქალიშვილს, რომლის გვარია... ჭავჭავაძე!

რა უბედურებაა — დღეს აფხაზეთში მეოთხედზე მეტი გააფხაზებული ქართველობა ცხოვრობს! მიზეზი? ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, ერთს კი ავღნიშნავ: რუსეთი ასეთ „აფხაზს" განსაკუთრებულ პრივილეგიას უქმნის. ჩემი ნება რომ იყოს, ასეთ „აფხაზს" წკეპლით ზურგს ავუჭრელებდი!

— მაპატიეთ, ოდესმე სურვილი თუ დაგბადებიათ ასეთი „პრივილეგიით" სარგებლობისა?

— ამაზე ფიქრიც კი საქართველოს ღალატი იქნებოდა. წარმოიდგინეთ — რაილსტრაგზე გამარჯვების დროშა რომ ავიტანეთ, მოსკოვზე კი არა, თბილისზე ვფიქრობდი, განსაკუთრებით მიხაროდა და მეამაყებოდა ის, რომ მე — ქართველმა კაცმა, დროშით ხელში ფეხი შევდგი რაილსტრაგის გუმბათზე! ეს იყო დიადი გრძნობა — როგორც ჩემს ფეხქვეშ გართხმული იყო დამარცხებული და ალში გახვეული ბერლინი, ასევე ერთი დიდი ქართველის ფეხქვეშ რუსეთის იმპერია, ევროპა, მთელი მსოფლიო...

თურმე ლესია უკრაინკას უთქვამს, უკრაინელი რომ არ ვიყო, ქართველობას ვინატრებდიო. მე კი ასე ფიქრი არ შემიძლია, რადგან ქართველად გავჩნდი, სულით და ხორცით უნდა ვიქართველო!

ამას წინათ ერთ გააფხაზებულ ქართველთან ჩხუბი მომივიდა, არ დაგიმალავ, შემომელახა კიდეც, საბჭოთა კავშირის გმირობამ მიშველა, თორემ დამიჭერდნენ კიდეც. ამ გადაგვარებულმა, იცით, რა მითხრა? ჩემი აფხაზობით ვამაყობო. კი, ბატონო, აფხაზმა აფხაზობით უნდა იამაყოს, ქართველმა ქართველობით, მაგრამ, შე კია დედმამისშვილო, დედა ქართველი გყავს და მამაც, ძმაც და დაც, და ტვინი ისე ვინ გადაგიბრუნა, რომ აფხაზობით ამაყობდე?! სადაური აფხაზი შენა ხარ?

— მართალი ბრძანდებით, თქვენ კარგა ხანია აფხაზეთში ცხოვრობთ. გაქართველებული აფხაზი თუ შეგხვედრიათ?

— რას ამბობთ, რომელი აფხაზი იტყვის ქართველი ვარო. ქართველებს კი, როგორც ჩანს, გვარის შეკვეცა არად გვიღირს. ნახეთ, რუსეთში რამდენი ცხოვრობს ანდრონიკოვი, ჯავახოვი, ციციანოვი, მელიქოვი?!.. კიდევ ჩამოვთვალო?!ეს რა უბედურებაა!

— ისევ აფხაზეთს დავუბრუნდეთ. გააფხაზებულმა ქართველებმა კი არა, აფხაზეთში მცხოვრებმა არა ერთმა ნაღდმა ქართველმა აფხაზური ენა იცის. მე იშვიათად შემხვედრია აფხაზი, რომელიც ქართულად ლაპარაკობდეს. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

— აფხაზური ინტელიგენციის ღირსეულმა წარმომადგენლებმა ქართული ენა კარგად იციან. სამწუხაროდ, მოსახლეობის 99 პროცენტმა ქართული ენა არ იცის. და ეს, ალბათ, ჩვენი ბრალიცაა. საქართველოში ქართული ენა სახელმწიფო ენა უნდა იყოს არა მარტო ქაღალდზე, არამედ პრაქტიკლად, ცხოვრებაში...

— როგორ წარიმართება ქართულ-აფხაზური ურთიერთობა?

— ძნელი სათქმელია...

გამოიცა

## „მღელვარება კავკასიაში"...

ნიუ-იორკში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა ქართველი ისტორიკოსის, საქართველოს უახლოესი ისტორიის მკვლევარის, პროფესორ ავთანდილ მენთეშაშვილის მონოგრაფია „მღელვარება კავკასიაში".

წიგნში სრული სიმართლეა მოთხრობილი იმაზე, თუ როგორ ცდილობდა მეფის რუსეთი დაერღვია საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ობიექტური გაშუქება, აი, წიგნის დიდი ღირსება. წიგნში ასევე მთელი სიცხადით გაშუქებულია ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორია, მრავალი ახალი ფაქტია მოთხრობილი.

კარგი იქნება თუ ამ მშვენიერ წიგნს ქართველი მკითხველი მშობლიურ ენაზეც იხილავს.

## ამბობენ...

- ჩეჩნეთში გატაცებული ოთხი ჟურნალისტის ბედი კვლავაც გაურკვეველია. ბევრი მიმომხილველი თვლის, რომ ეს აქცია თვით რუსეთის სპეცსამსახურის მიერ არის ორგანიზებული.
- რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი მოოქროვილი სავარძლის გადასარჩენად გაწირავს მთავრობას, მათ შორის პრემიერსაც.
- ტაჯიკეთში ტიფის ციებ-ცხელების ეპიდემია მძვინვარებს. ამტკიცებენ, რომ იგი ქალაქების წყლის მარაგის გაჭუჭყიანებით არის გამოწვეული, რომლის ქლორირება სამი თვეა არ მომხდარა.

ამ მხრივაც დამამშვიდებელი მდგომარეობა არც საქართველოშია.

## ხუმრობენ

- ელცინის გამოჯანმრთელებით მთავრობა დაავადაო.
- ელცინია თუ ლებედია, ჩვენთვის ორივე მწარე ბედიაო.
- რუსეთს მუდამ დედას ვეძახით და ახლა მამინაცვლობა მოგვინდომაო.
- დედა რუსეთს ნეტა მამა ვინ ჰყავსო?!

## სიჯიუტის რეკორდი

73 წლის ჰოლანდიელი ინან ბოკჰოლტი 17-ჯერ აბარებდა გამოცდას მძღოლის უფლების მოსაპოვებლად. მაგრამ ამაოდ. სიჯიუტის ამ რეკორდს ხომ არ მოხსნიან აფხაზი სეპარატისტები, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვაში მეხუთე წელია „იჭრებიან"?

# მაგრამ ვაი თუ...

წლების განმავლობაში აფხაზეთის განათლების სამინისტროს სათავეში ედგა თამარ კოლონია — მშვენიერი აფხაზი ქალი. სამსახურებრივი მდგომარეობის გამო მინისტრის ხშირი სტუმარი გახლდით. არ მახსოვს შემთხვევა, თბილისიდან სტუმრად ჩასულს კეთილი დიასახლისივით თბილად, ღიმილით არ შემხვედროდა. იგი იყო ქართველების მოყვარე თუ არა, დიდად პატივისმცემელი, სამართლიანი, ქართულ სკოლებზე მზრუნველი. თბილისში ჩამოსვლისას შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა, რედაქციაში არ მოვენახულებინე. ომმა, ორ ხალხს შორის სამტროდ ჩამდგარმა სისხლიანმა ურჩხულმა ჩვენი გზები გაყარა. არ ვიცი, სადაა ნამინისტრალი ქალბატონი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ქართველების წინაალმდეგ ხმალს არ მოიქნევდა.

ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ მას. წინასწარ ვიცი: ძველებური, და-ძმური სიყვარულით ერთმანეთს მოვიკითხავთ, მოვეფერებით.

— აი, ისევ ერთად ვართ! — მეტყვის იგი, — საავდრო ღრუბლის გასაფანტავად არც ერთს ცდა არ დაგვიკლია, გაგვიმართლა კიდეც...

— მე თქვენი მუდამ მჯეროდა, მშვენიერო აფხაზო ქალბატონო! — ვეტყვი მე, — მადლობა ღმერთს, რომ თქვენისთანები ბევრნი არიან...

მაგრამ ვაი თუ...

იქნებ ყველაფერი სხვაგვარად მოხდეს? იქნებ...

მაგრამ არა, ალლო არ მღალატობს — თამარი ისევ ითამარებს — ქართველებთან მას სიყვარულის გარდა არაფერი ჰქონია გასაყოფი.

ბავშვივით უხაროდა, აფხაზ პედაგოგებზე წერილებს რომ გამოვაქვეყნებდი.

— თბილისიდან მუდამ სიხარულით ველიო გაზეთებს, — თვალებში ელვა უკიაფებდა, განსაკუთრებით ძმადნაფიცის სტატიეფსო...

და გამხნევებული დავდიოდი აფხაზურ სკოლებში, ვესაუბრებოდი აფხაზ მასწავლებლებს, ვაგროვებდი საგაზეთო მასალას... მერე კი... მერე აფხაზური გულუხვი სუფრა იშლებოდა და მთლიანი საქართველოსი, მისი ულამაზესი კუთხის — აფხაზეთის ქებათა ქებაში გვითენდებოდა...

როგორ მომნატრებიხართ!..

სურვილს ძლივს ვიოკებ: დავკრა ფეხი და მოულოდნელად თავზე წამოვადგე მათ... დავიჯერო, გული ისე გაცივებიათ, ზურგს შემაქცევენ? ყველაფერი ხდება, მაგრამ გულში სიყვარული ჩაქრება, ძმადნაფიცობას ყავლი გაუვიდა? არა, არა, ეს ვერ წარმომიდგენია... ღმერთმა ნუ ჰქნას და მართლაც ასე რომ მოხდეს, საერთოდ, ადამიანობაზე გული ამიცრუვდებოდა

ჩემს ლამაზ ოცნებას ვულიმი და სიხარულით ველი იმ დღეს, როდესაც...

კაკო ვენიაშვილი



გვერდი მოამზადეს ჯაბა ჯიქიამ და დალი ტურავამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯანსაღი ელცინი დაავადებული მთავრობის ფონზე



გამოჯანმრთელებულმა რუსეთის პრეზიდენტმა აღმოაჩინა, რომ საზოგადოებაში მას ქმედითუუნარო ხელმძღვანელის იმიჯი შეექმნა. შესაბამისმა რეაქციამაც არ დააგვიანა და ბორის ელცინის ძირითადი იმიჯმეიკერები თანამდებობებს გამოეთხოვნენ. ასეთ სიტუაციაში საჭირო გახდა გარკვეული პოპულისტური ნაბიჯების გადადგმა, რის განხორციელებაშიც პრეზიდენტს არსებული სამთავრობო კრიზისი და ფედერალური ყრილობისადმი მისი მიმართვა დაეხმარა.

ყოველწლიურად რუსეთის პრეზიდენტი ვალდებულია სიტყვით გამოვიდეს პარლამენტის ორივე პალატის წინაშე, სადაც მან უნდა ჩამოაყალიბოს სამომავლო გეგმები და არსებული პრობლემების გადაჭრის გზები. ამგვარი შესაძლებლობა ელცინს 6 მარტს მიეცა. რუსეთის პრეზიდენტს ამ დღეს უნდა დაემტკიცებინა, რომ მას ჯერ კიდევ შესწევს ქვეყნის მართვის უნარი. რასაკვირველია, გამოსვლა დეპუტატების წინაშე კრიტიკული უნდა ყოფილიყო, რათა ყველას დაენახა უმაღლესი ხელისუფლის „რკინის ხელი".

შეიძლება ითქვას, რომ ბორის ელცინის სიტყვაში აქცენტი გაკეთდა მთავრობისათვის რისხვის დატეხვაზე. უკვე დიდი ხანია, რაც კულუარებში მიდის მსჯელობა მთავრობის შესაძლო გადადგომის თაობაზე. მართალია აქ ლაპარაკია მხოლოდ რამდენიმე მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე (ჩერნომირდინის წასვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია), მაგრამ ეს ჩინოვნიკები სამართალდამცავ უწყებათა ხელმძღვანელებს წარმოადგენენ, რაც ერთგვარი საყრდენია მთავრობისთვის. ელცინმაც დარტყმა სწორედ, გენერალურ პროკურორზე, შინაგან საქმეთა მინისტრზე და უშიშროების ფედერალური სამსახურის უფროსზე გააკეთა. განსაკუთრებული წნეხის ქვეშ მოექცა გენერალური პროკურორი იური სკურატოვი. სიტუაცია გაამწვავა ამ უკანასკნელის პროგრამა „„პრესტუპლენიე ბეზ ნაკაზანიე"-ზე არ გამოცხადებამ. ელცინმა ჯერ 4 მარტს დაიბარა აუდიენციაზე მთავარი პროკურორი, სადაც ტელეკამერების წინაშე საყვედური გამოცუხადა ასეთი საქციელის გამო, ხოლო საპარლამენტო გამოსვლის დროს მიუთითა, რომ პროკურატურამ მუშაობის სტილი უნდა შეცვალოს. ერთი სიტყვით პრეზიდენტმა გენ. პროკურორი საქვეყნოდ შეარცხვინა. შედარებით იოლად გადარჩა შინაგან საქმეთა მინისტრი ანატოლი კულიკოვი. მან მეტად გონივრული ნაბიჯი გადადგა, როცა (როგორც საბაჟო სამსახურის კურატორმა) რუსეთ-ფინეთის საზღვარზე მორიგი „პაკაზუხა" ჩაატარა, რათა ელცინის წყრომა ოდნავ ჩაეცხრო. შედეგად ეს უკანასკნელი კონკრეტულად კულიკოვის საწინააღმდეგოს ჯერ-ჯერობით არაფერს ამბობს. თუმცა სიკვდილის ბუზი შინაგან საქმეთა მინისტრის ფიგურას კვლავაც დასტრიალებს.

ელცინის საპარლამენტო სიტყვაში ასევე გაიჟღერა ანტიკორუფციულმა მოტივებმა. ამ კუთხით, უნდა ამოტივტივდეს ვიცე-პრემიერ ალექსანდრ ბოლშაკოვის პიროვნება. მას ბრალად ედება მეტად არარენტაბელური მოსკოვი — სანქტ-პეტერბურგის ჩქაროსნული გზატკეცილის მშენებლობის დაწყება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ტრასა კარგა ხანი ვერ ამოიღებს მასში ჩადებულ ინვესტიციებს. ასევე გამოირკვა, რომ ფირმას, რომელიც აწარმოებს აღნიშნული გზატკეცილის მშენებლობას თავის დროზე ხელმძღვანელობდა თვითონ ალექსანდრ ბოლშაკოვი. ამიტომ უკვე ეჭვი აღარავის ეპარება, რომ თუ არა პირადი გამორჩენა, სხვა არაფერი უდევს საფუძვლად ვიცე პრემიერის ამ წამოწყებას. ამდაგვარად, ელცინის მათრახი კორუმპირებულ ვიცე-პრემიერებსაც გადასწვდა.

მიუხედავად ელცინის ჩერნომირდინისადმი უაღრესად კეთილგანწყობას, მწარე სიტყვები პრემიერმინისტრსაც შეეხო. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ხანდახან იქმნება შთაბეჭდილება თითქოს მთავრობას ზემოდან მითითებების გარეშე ფუნქციონირება არ შეუძლია. ელცინმა მთავრობას 30 ივნისამდე მისცა ვადა, რათა მან გაისტუმროს საპენსიო დავალიანებანი და გაატაროს საპენსიო რეფორმა. აღინიშნა აგრეთვე სოციალური სფეროს რეფორმების და ბიუჯეტის კოდექსის შემუშავების აუცილებლობა. საბოლოოდ, ელცინმა შეაჯამა თავისი სიტყვა და ოფიციალურად განაცხადა, რომ უახლეს მომავალში მოხდება მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის რეფორმირება, რაც გარკვეულწილად მის გაცხრილვასაც გულისხმობს.

რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ მთავრობაში მოსალოდნელი ცვლილებების იდეა განამტკიცა პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელმა ანატოლი ჩუბაისმა. მისი თქმით, ელცინს სურს იგი მთავრობაში იხილოს. რა თანამდებობაზე?! ეს ჯერ უცნობია. ამის შესახებ მხოლოდ რუსეთის მკვდრეთით აღმდგარმა პრეზიდენტმა იცის. ხოლო გადადგება თუ არა მინისტრთა კაბინეტი, ამის შესახებ მხოლოდ მაღალმა ღმერთმა უწყის.

მამუკა ძებისაშვილი

დაძაბულობა

# ბერიშას ხელისუფლებას დამხობა ემუქრება

## მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა არავითარი შედეგი არ გამოიღო

როგორც ჩანს ალბანური დაპირისპირების ეპოპეა თავის ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება. მაგრამ ამჟამად საფრთხე უკვე პრეზიდენტ სალი ბერიშას და მის ხელისუფლებას ემუქრება. სამხრეთ ალბანეთის აჯანყებულთა მოსახლეობამ არათუ შეინარჩუნა ქალაქები ვლიორი, სარანდა და სხვა მნიშვნელოვანი ცენტრები, არამედ თვით ალბანეთის სახალხო არმიის უმსხვილესი ბაზა გიორკასტრა აიღო. აქ განლაგებული სამხედრო აღჭურვილობის და შეიარაღების უდიდესი საწყობი იმავე დღეს დაარბიეს ოპოზიციის მომხრეებმა. ამან კი შეიძლება კარდინალურად შეცვალოს ძალთა ბალანსი მთავრობის სამხედრო ნაწილებსა და ოპოზიციის შეიარაღებულ ფორმირებებს შორის.

თუ მანამდე ალბანეთის სახალხო არმიისათვის დიდ სირცხვილს არ წარმოადგენდა გაფანტული მეამბოხეების განადგურება, ამჟამად მათ წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით რთული იქნება. თუმცა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა აშკარად დაგვანახა, რომ ქვეყნის შეიარაღებული ძალები არც აპირებდნენ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოსვლას და ეს ფაქტი გასაგებიც არის. ფინანსურმა მაქინაციებმა, სადაც ალბანელთა უმრავლესობამ ჩადო ფული, სამხედროების დიდი ნაწილიც გაალატაკა, ხოლო მათი ოჯახები შიმშილის პირას მიიყვანა. სწორედ ამიტომ გადადიოდნენ ოპოზიციის მხარეზე სამხრეთის „აჯანყების ეცეცხლის" ჩასაქრობად გაგზავნილი საარმიო ნაწილები.

სადღეისოდ მეამბოხეებს ალბანეთის სამხრეთის 6 მსხვილი ქალაქი აქვთ დაკავებული და ისინი არც აპირებენ ჩრდილოეთისაკენ თავისი ტრიუმფალური სვლის შეჩერებას. თავდაპირველად სალი ბერიშამ სამხრეთისაკენ მიმავალი ყველა გზები გადაჭრა, რათა ოპოზიციონერებს ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობაც არ ჩაეთრიათ ანტისამთავრობო გამოსლებში. მაგრამ ამ ზომამ არავითარი შედეგი არ გამოილო. პირიქით, ჩრდილოეთში მცხოვრებმა ალბანელებმა სამხრეთში ბრძოლების დაწყებისთანავე მასობრივი საპროტესტო აქციები მოაწყეს. ხოლო რაც უფრო შთამბეჭდავი ხდება მეამბოხეების წარმატებანი ვლიორში და გიორკასტრაში, მით უფრო მწვავდება სიტუაცია ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში და დედაქალაქ ტირანაშიც.

სალი ბერიშა ორ ცეცხლშუა აღმოჩნდა. ხელისუფლება ნელ-ნელა უძლური ხდება მართოს პროცესები და ამას პრეზიდენტი კარგად ხედავს. დახმარებას იგი ამჯერად ევროპის ქვეყნებიდან ელის და არც თუ უშედეგოდ. დასავლეთს არ აწყობს დემოკრატიული ძალების წარმომადგენლის სალი ბერიშას ჩამოგდება და ხელისუფლებაში მის ნაცვლად ოპოზიციონერი სოციალისტების მოსვლა. მაგრამ ევროპა უშუალოდ ნამდვილად არ ჩაერევა ალბანეთის კონფლიქტში. ასეთ სიტუაციაში ევროკავშირის წარმომადგენელი ფრანც ვრანიცკი ერთადერთ სწორ გამოსავალს სთავაზობს სკამშერყეულ ბერიშას; აუცილებელია პირდაპირი დიალოგი ოპოზიციურ ძალებთან, უნდა შეწყდეს სამხედრო მოქმედებანი და სოციალისტები ახალ მთავრობაშიც უნდა შევიდნენ.

ალბანეთის პრეზიდენტს სხვა გზა არც დარჩენია, გარდა იმისა რომ დაეთანხმოს ამ წინადადებებს. 8 მარტს მან საჯაროდ გამოაცხადა, რომ ოპოზიციონერთა მონაწილეობით ეროვნული შერიგების კოალიციური მთავრობა შეიქმნება, ხოლო ორ თვეში ახალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება. მისთვის მეტად ძნელი იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ რეალური ძალაუფლება ქვეყანაში აშკარად ოპოზიციონერების ხელში გადავიდა. სოციალისტები კი კმაყოფილებით შეხვდნენ პრეზიდენტის „ინიციატივას". მათ დროებით შეაჩერეს შეიარაღებული ფორმირებების წინსვლა და ალბანეთში სამოქალაქო წესრიგის აღდგენის სურვილიც გამოთქვეს.

მაგრამ თვით ახალი კოალიციური მთავრობის შექმნის შემთხვევაშიც კი ალბანეთი კარგა ხანი ვერ ეღირსება მშვიდობიან ცხოვრებას. საბრძოლო მოქმედებების შედეგად მოსახლეობის ხელში იარაღის დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი, ხოლო მის ამოღებას ჯერჯერობით ვერც არმია და ვერც უძლური პოლიცია შესძლებს. სოციალისტები ხელისუფლებაში მოვლენ, თუმცა ისიც საკითხავია, თუ რას მოიგებს ამით გაღატაკებული მოსახლეობა. შეიარაღებული ხალხი მთავრობის მხრიდან მათი კატასტროფული სოციალურ-კეონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ელოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ალბანეთს ნამდვილად არ ასცდება ფართომასშტაბიანი „რევოლუცია".

კახა დვალი

# ჩრდილოეთ კორეა კიდევ ერთხელ გახდა მსჯელობის საგანი

ნიუ-იორკში გაიმართა აშშ-ს იაპონიის და სამხრეთ კორეის წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრა, რომელიც ეძღვნება ჩრდილოეთ კორეის პრობლემებს. მხარეებმა ისაუბრეს სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პერსპექტივებზე. თუმცა ჯერჯერობით ზოგიერთი სასაზღვრო პრობლემის მოგვარებაც კი ვერ ხერხდება. ამგვარი სირთულეების აღმოსაფხვრელად ორი კორეის წარმომადგენლები ხშირად ხვდებიან ხოლმე ქალაქ ხონ-მონჟონში. ექსპერტთა ვარაუდით შექმნილი სიტუაცია კიდევ დიდ ხანს გასტანს.



# პრიმაკოვი ელცინ-ქლინთონის შეხვედრას ნიადაგს უმზადებს

მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი დაიწყო 9 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი პრიმაკოვსა და NATO-ს გენერალურ მდივან ხავიერ სოლანას შორის. საუბარი, რა თქმა უნდა ძირითადად ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ბლოკის აღმოსავლეთით გაფართოებაზე გაიმართა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ კლავუს კინკელის კომენტარის მიხედვით, პოზიციათა შეთანხმების თვალსაზრისით პროგრესი იგრძნობა. აღნიშნული შეხვედრა არის პრიმაკოვის აშშ-ში ვიზიტის და ელცინ-ქლინთონის უმაღლეს დონეზე შეხვედრის ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი.

# ოპოზიცია დემოკრატიზაციას მოითხოვს

იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში ოპოზიცია კვლავ გამოვიდა ქუჩებში. მან ეს მიუძღვნა 6 წლის წინანდელ ტრაგედიას, როდესაც მთავრობამ დემონსტრანტები ტანკების საშუალებით დაარბია. ოპოზიციის ამჟამინდელი მოთხოვნებია: დემოკრატიზაცია და დასავლური მოდელი სერბიისათვის. მართალია უკვე ამა წლის ზაფხულში გაიმართება სერბიის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, მაგრამ ოპოზიციას მანამდე სურს ქულების დაგროვება. მს ეთერში სურს გასვლა, რის გამოც მიმდინარეობს ტელევიზიის პიკეტირება.



# რუსეთი საკუთარი იარაღის ახალ მყიდველებს ეძებს

სულ უფრო მძაფრდება კონკურენცია სხვადასხვა ქვეყნებს შორის იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის მსოფლიო ბაზარზე. მილიარდობით დოლარი, რაც ამ სფეროში ტრიალებს, ბიუჯეტის შევსების უმნიშვნელოვანესი წყაროა და მასზე უარის თქმას არც რუსეთი აპირებს. სულ მალე არაბთა გაერთიანებულ ემირატებში, კერძოდ ქ. აბუ-დაბიში იარაღის უდიდესი გამოფენა მოეწყობა. როგორც ცნობილი გახდა, მოსკოვი მეტად ფართო ექსპოზიციის წარმოდგენას აპირებს, მით უმეტეს, როცა აგე-ის მთავრობამ 2-3 მლრდ დოლარის გამოყოფა გადაწყვიტა უახლესი რუსული ტექნიკის შესაძენად. მიღებული ინფორმაციით რუსეთი აბუ-დაბიში პირველად წარმოადგენს მსოფლიოში საუკეთესო ტანკების განმანადგურებელ მოიერიშე ვერტმფრენს K-50-ს („შავი ზვიგენი") მოეწყობა საჩვენებო გაფრენები, რომლის დროსაც გამოყენებული იქნება ვერტმფრენის სრული საბრძოლო შეიარაღება გარდა ამისა, რუსეთი სამხედრო სამრეწველო კომპლექსის უახლესი საზენიტო კომპლექსების („ს-300 და „ტუნგუსკა"), ჯავშანტექნიკის (ტანკი T-80У БМП-3 და სხვ.) თვითმფრინავების (СУ-30, СУ-37) და „КИЛО"-ს ტიპის უხმაურო წყალქვეშა ნავის წარდგენას აპირებს.

კომენტარი

# რა უნდათ თქვენგან ბატონო ზურაბ

მოქანდაკე ზურაბ წერეთელი, ერთ-ერთი მთავარი ანტი გმირია რუსეთის ფედერაციის დედაქალაქის. მოსკოვის პრესა აჭრელებულია კრიტიკული მასალებით. მხატვარი ავანგარდისტები აწყობენ საპროტესტო აქციებს, მაესტრო კი აშენებს.

ბოლო დროს ზურაბ წერეთელის ოპონენტები პოლიტიკურ გზას დაადგნენ — დაიწყეს საქალაქო რეფერენდუმისათვის მზადება მთელი რიგი არქიტექტურული მონუმენტების დემონტაჟის მოთხოვნით.

საინიციატივო ჯგუფის ლიდერის მარატ გელმანის სახელოსნოში არ წყდება ტელეფონის ზარის ხმა. მოსკოველები თანადგომას უცხადებენ მას რეფერენდუმისათვის საჭირო ხელმოწერების შეგროვებაში. როგორც კი გამოიხატა პეტრეს კონტური, ამბობს გელმანი, არ იყო ადამიანი, რომელმაც ფეხი შეაბიჯა სახელოსნოში, არ აღშფოთებულიყო ქანდაკების იერ-სახით.

აი, დაახლოებით რას ფიქრობს ცნობილი კინორეჟისორი გიორგი დანელია ვნახე რა პირველად პეტრეს ქანდაკება, შოკირებულ შევიქმენი. მე ნატურით კონსერვატორი ვარ და არ მიყვარს ცვლილებანი. პეტრეს ქანდაკებას რომ აკრიტიკებენ, ეს ნორმალურია, მაგრამ არც ისე მოსკოვის პრესას რომ აქვს ატაცებული, აქ სხვა მოტივები სჩანს. მას ადანაშაულებენ, რომ იგი ქართველია. ისიც კი სთქვეს, რომ პეტრე ქართული ქანდაკებააო დამზადებული რუსული ლითონისაგანა. ვფიქრობ, ასე შეიძლება ძალიან შორს წავიდეთ.

ხელოვნებათმცოდნე მარია ჩეგოდაევა კი თვლის, რომ ზურაბ წერეთელის მონუმენტებმა კი არ შეუცვალეს მოსკოვს იერ-სახე, არამედ იმ „შედევრმა" ქანდაკებებმა, რომლებიც აღიმართა ლენინის, ძერჟინსკის, სვერდლოვის, კალინინისა და სხვათა სახით, რომელთა გამოც დაინგრა უამრავი ღირსშესანიშნავი ისტორიული შენობა-ნაგებობები, განადგურდა ძველი მოსკოვის ქუჩები, შედეგად კი ლუჟკოვსა და წერეთელზე გაცილებით ადრე იუნესკომ გარიცხა მოსკოვი იმ ქალაქების სიიდან, რომელთა იერ-სახე მხატვრულ-ისტორიული ფასეულობით გამოიხატება.

ჩვენს მხრივ დავსძენთ, დაბრუნდით სამშობლოში ბატონო ზურაბ.

შოთა გვენეტაძე




# ღია წერილი გერმანიიდან ბატონ ელჩს!

ბატონო ელჩო, ეს უკვე მესამე წერილია ჩემი ოჯახის გასაჭირის შესახებ რომ იბეჭდება პრესაში პირველი გაზეთ „შანსში“ გამოქვეყნდა („რატომ ჩაგრავს ჩინოვნიკი... პენსიონერს?“ აგვისტო, № 86, 1996 წ.) მეორე — „კოლხურ კოშკში“ („ღია წერილი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს“, სექტემბერი, № 28, 1996 წ.). არც ერთმა, არც მეორემ შედეგი არ გამოიღო და მე და დედაჩემმა პიკეტი მოვაწყეთ თქვენი საელჩოს წინ. ჩვენს აქციას ორი გაზეთი გამოეხმაურა: „ალია“ და „კოლხური კოშკი“. დაიბეჭდა სურათები შესატყვისი კომენტარებით. ალბათ, დაინტერესდებით, რატომ მაინცდამაინც თქვენი საელჩოს წინ და არა სხვაგან? საქმე იმაშია, რომ მთელი მისი ცხოვრება დედაჩემი იმ ორსართულიან სახლში ცხოვრობდა, გერმანიის საელჩოს ეზოში რომ იდგა., როცა გერმანიამ ეს ტერიტორია არენდით აიღო, ქალაქის მერიამ სახლში მცხოვრები ყველა ოჯახი გამოასახლა და უახლოეს დროს უკეთეს ბინებში შესახლება აღუთქვა. ასეც მოხდა: წლინახევრის განმავლობაში ყველა ოჯახი დაკმაყოფილდა. მხოლოდ ჩვენ არ დაგვადგა საშველი.

ოთხი წელია, რაც მერია გვატყუებს. პიკეტი იმიტომ მოვაწყეთ, დიდუბის გამგეობამ დედაჩემი სახლიდან ამოწერა და ვილაცის მიერ დაკავებული ბინა „გამოუყო“. ის კაცი — ვაკის გამგეობამ ვერ გამოასახლა და აბა ჩვენ რას გავხდებოდით?! პიკეტი რომ მოვაწყეთ, თქვენმა კანცლერმა ბატონმა მაიკლ ვალტერმა საელჩოში შეგვიპატიჟა. საქმის ვითარება ავუხსენით. დახმარებას დაგვპირდა.

მეორე დილით ბატონი კანცლერი ბადრი შოშიტაიშვილთან იყო. ბაიბურში არა ვარო ამის თაობაზე, ჩვეულებისამებრ იცრუა მერმა. სინამდვილეში ბარე ოთხჯერ მაინც მივმართე ოფიციალურად. პასუხი არ გამცა. დამემალა. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემაც შემაწია მასთან სიტყვა, გურამ ფანჯიკიძემ, გაზეთ „იბერია-სპექტრის“ ადამიანის უფლებათა განყოფილების რედაქტორმაც, ქალბატონმა ელენე ბარათაშვილმაც გაუგზავნა შესაბამისი წერილი, არაფერმა გაჭრა.

ბატონმა მაიკლ ვალტერმა გვითხრა, ორ კვირაში ერთხელ მაინც შემატყობინეთ საქმე როგორ მიდისო. მოგვცა ბარათი, ტელეფონი. დაგვამშვიდა. მაგრამ მოხდა უცნაური რამ: საელჩოში არ შეგვიშვეს. გვითხრეს, ჯერ ტელეფონით მოელაპარაკეთ და მერე მოდითო. ტელეფონით კი სულ გვეუბნებიან ჩვენი, ქართველი ჩინოვნიკები — კანცლერი გერმანიაშიაო, ქალაქში არააო, ახლა გავიდა საელჩოდანო. სტყუიან.

ოთხი თვეა დედაჩემი პენსიას ვერ იღებს. ფოსტაში მეუბნებიან, ცნობა მოიტანე, რომ დედაშენი გენდობაო. ცნობის აღება შეუძლებელი გახდა, ვინაიდან პასპორტი არა აქვს და არსადაა ჩაწერილი. ძველი პასპორტი დაეკარგა, ახალი მილიციამ არ აღირსა, ვინაიდან საბინაო დავთარი რომელშიც ჩაწერილი იყო, დიდუბის რაიონის საბინაო განყოფილებამ უგზო-უკვლოდ გააქრო. ფოსტაში გვითხრეს, დედაშენი — ელისო ერმილეს ასული ლობჟანიძე — თბილისში ჩაწერილი არაა, პრასპორტი არა აქვს და ამიტომ პენსიის აღების უფლება კი არა, თბილისში დასაფლავების უფლებაც ჩამორთმეული აქვსო: მიიღოს ბინა, აიღოს პასპორტი და მერე მოვიდეს ჩვენთანო.

ნათელზე ნათელია, რომ საქმე გვაქვს ჩინოვნიკური, ბიუროკრატიული მანქანის უსაზიზღრეს ფორმასთან. ნათელია ისიც, თუ სად [illegible] ამდენი ჰუმანიტარული დახმარება, ამდენი კრედიტი, რა იმალება „პრივატიზაციის“ ნიღბით, ვინ სუქდება და ვის ამოსდის სილატაკეში სული და რატომ. გერმანიის საელჩო რომ არენდის ფულს მაშინდელ მერს უხდიდა, დარწმუნებული ვარ, წარმოდგენა არ ჰქონდა, ვისთან ჰქონდა საქმე და ძალაუნებურად ავადმყოფი პენსიონერი უსახლკაროდ დატოვა. გერმანია ქვეყნის ხალხს პატრონობს, თავშესაფარს, პურს, უსაფრთხოების გარანტიას აძლევს ათიათასობით უცხოელს, ლტოლვილს, დევნილს, ამ შემთხვევაში კი ლტოლვილი და დევნილი მშობლიურ ქალაქში დედაჩემია მერიის მაფიის და გერმანიის საელჩოს შორის დადებული გარიგების შედეგად.ბატონო ელჩო, უმორჩილესად გთხოვთ, აიძულეთ ქალაქის მერია — კერძოდ კი ბადრი შოშიტაიშვილი დაუბრუნოს ელისო ერმილეს ასულ ლობჟანიძეს ის თანხა, გერმანიამ რომ გადაუხადა ბინის საფასურად.

თქვენი სულხან ჟორდანია.
16/II-96

## უკომენტაროდ

### ციფრები. ფიქრი. მოვლენები

● ომწაგებული, ამხელა ტერიტორია დაკარგული ქვეყნის ბიუჯეტში თავდაცვის ხარჯებისათვის 79 მილიონი ლარია გამოყოფილი, ხოლო ლტოლვილებისათვის — 250 მილიონი.

● საქართველოს ჯარის სოციალური მდგომარეობა ასეთია: გლეხის შვილი 34,2 პროცენტი, მუშის — 32,4, მოსამსახურის — 26,7, ინტელიგენტის — 4, მეწარმის — 1,4, კომერსანტის — 1,3 მაგრამ.... გამგებლის? პროკურორის, მინისტრის? პარლამენტარის? ჯარში მათი შვილების ყოფნას დავაკონკრეტებთო. რათო, აქამდე ვერ დააკონკრეტეს?

● ყველა სამხედრო ბაზა საქართველოში რუსმა სამხედროოებმა თითქოს კეთილი ნებით დაგვითმეს, მაგრამ... თავად რუსებმავე გაძარცვეს, მილიონობით ლარის უნიკალური ტექნიკა გაანადგურეს. ესაა კეთილმოსურნე მეზობლისა და სტრატეგიული პარტნიორის მორალი?

● შვეიცარიაში, ჯარში არწაყვანა ახალგაზრდისათვის შეურაცხყოფაა. ფინელები ჯარისკაცობით ამაყობენ. ისრაელში არმიიდან თავდახსნილები სირცხვილის გამო ქვეყანას ტოვებენ. საქართველოში?..

● როგორც მოსალოდნელია, საქართველოში გაუქმდება სიკვდილით დასჯა. სავარაუდოა, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა სამუდამო პატიმრობა იქნება.

● კრიმინალური სტრუქტურების წარმომადგენლები აფხაზეთში დათარეშობენ, რბევა-აწიოკებასაც არ ერიდებიან. რუსების აზრით, ყველაფერი ეს საქართველოს ნებით ხორციელდება. იქნებ მოსკოვში აფეთქებებიც, მკვლელობებიც თბილისის ბრძანებით ხდება? საინტერესოა, ამაზე თავად რუსები რა აზრისა ბრძანდებიან?

## შერჩეული გაქვთ სათანადო სტილი?

ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგეხმარებათ გაიგოთ: გაქვთ თუ არა შერჩეული სათანადო სტილი, ოღონდ აუცილებლად იყავით ზედმიწევნით პატიოსანი და გულწრფელი პასუხების შერჩევაში. ყოველი სიტუაცია ოთხ შესაძლო პასუხს შეიცავს: ხშირად, ხანდახან, იშვიათად და არასდროს.

თქვენს პასუხს: „ხშირად“ — 0 ქულა დაუწერეთ, „იშვიათად“ — 2 ქულა, „არასოდეს“ — 3 ქულა, „ხანდახან“ — 1 ქულა.

1. ხალხს თქვენ უფრო ახალგაზრდულად ან უფრო ხნიერად მიაჩნიხართ, ვიდრე სინამდვილეში ხართ;

2. ხალხი მიუთითებს თქვენი შეხედულების სპეციფიკურ ასპექტზე (მაგ.: მომწონს თქვენი მაკიაჟი) და არა თქვენს გარეგნობაზე (მაგ.: თქვენ დღეს საშინლად გამოიყურებით).

3. თქვენ ექსტრავაგანტული ტანსაცმლით გამოირჩევით ხალხში. ისინი ამბობენ: „ვისურვებდით ჩვენც გვქონდეს იმდენი სითამამე, რომ ასე ჩავიცვათ“, ანდა: „თქვენ ყოველთვის უჩვეულოდ, ყველასაგან განსხვავებულად გამოიყურებით“.

4. ადამიანები უარყოფით შეფასებას აძლევენ თქვენი ტანსაცმლის ფერებს.

5. თქვენს ოთახში მომუშავე სხვა ადამიანები უფრო მეგობრულად არიან ერთმანეთში, ვიდრე თქვენთან.

6. თუ თქვენი თანამშრომლები მუშაობის შემდეგ შემთხვევით შეგვხვდებიან ქუჩაში, რესტორანში ან წვეულებაზე, თავი ისე უჭირავთ, თითქოს ვერ გცნობენ.

7. თქვენი თანამშრომლები თვლიან, რომ ძალიან სექსუალურად გამოიყურებით.

8. ხალხი ჩუმ-ჩუმად იცინის თქვენი შეხედულების რომელიმე ასპექტზე (მაგ. ტანსაცმელზე, მაკიაჟზე, თმის ვარცხნილობაზე და ა. შ.).

9. ხალხმრავალ მაღაზიაში გამყიდველები ყველაზე ბოლოს თქვენ გემსახურებიან.

10. როდესაც იგებენ თქვენს პროფესიას, გაკვირვებულნი რჩებიან.

11. თქვენ გთავაზობენ თქვენი პროფესიონალიზმისა და ცოდნის შეუფერებელ სამსახურს.

12. თქვენ არ გთავაზობენ ისეთ სამსახურს, სადაც მუშაობის დიდი სურვილი გაქვთ.

## ტესტი

შეაჯამეთ, თუ 12 ქულაზე ნაკლები შეგიგროვდათ, მაშინ თქვენი აბსოლუტური წარმოდგენა უპირველესი პრიორიტეტია იმისა, რომ სწორ გზაზე დგახართ.

12-23 ქულა: თქვენი ჩაცმულობა და მაკიაჟი დახმარებას საჭიროებს, მაგრამ თქვენ შესძლებთ როგორმე გამოასწოროთ გარეგნული ატრიბუტები ნელ-ნელა.

24-34 ქულა: თქვენი გემოვნება საშუალოზე ცოტა მაღალია, მაგრამ მაინც არადამაკმაყოფილებელი და ამდენად თავს ნუ მისცემთ ნებას შეწყვიტოთ რჩევა-დარიგებებზე უარის თქმა.

35 ან მეტი ქულა: განსაკუთრებით არაჩვეულებრივი გარეგნობისა და ქცევის მანერებზე მიუთითებს. თქვენ ჩაცმულობით, გარდერობით, საუბრით, მანერებით ან მეორე მერი ლორენსი და დონა კარანი ხართ, ანდა გამოუსწორებელი მატყუარა. თუ მატყუარა ხართ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი შედეგები განსაკუთრებით არასასიამოვნო იქნება.

## სპორტი

დახურულ კორტებზე ჩატარდა 1997 წლის საქართველოს ქალთა შორის ზამთრის პირადი პირველობა ჩოგბურთში, რომელშიც 16 სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრება „ოლიმპიური“ სისტემით მიმდინარეობდა. ნახევარფინალში გავიდნენ სოფიკო მანაგაძე, ნინო ესებუა, ნატო დოლიძე და ირინე კაკულია.

### მარჯვედა სცემდეს ჩოგანსა?

თანამედროვე ჩოგბურთი სწრაფი ტემპით, ძლიერი დარტყმებით უკანა ხაზიდან, ბადესთან თამაშით და, რა თქმა უნდა გონებამახვილობით და იმპროვიზაციით გამოირჩევა. სოფიკო მანაგაძემ ნახევარფინალში სძლია ნინო ესებუას. ირინე კაკულია კი უბრძოლველად გავიდა ფინალში, ვინაიდან ნატო დოლიძემ წინა შეხვედრაში ფეხი იღრძო და ვერ იასპარეზა. ფინალი ს. მანაგაძეს და ი. კაკულიას შორის დასრულდა პირველის გამარჯვებით და იგი გახდა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატის ლიდერი ჩოგბურთში 1997 წლისათვის. მეორე ადგილი წილად ხვდა ი. კაკულიას, მესამეზე გავიდა (ასევე უბრძოლველად ნ. დოლიძის ტრავმის გამო) ნ. ესებუა.

### მარგალიტაძე მართლაც მარგალიტია

ამავე კორტებზე ჩატარდა საქართველოს ზამთრის პირადი პირველობა ჩოგბურთში მამაკაცთა შორის, რომელშიც 32 სპორტსმენი მონაწილეობდა. უკანასკნელ წლებში სტაბილურად ძლიერ თამაშობენ ვლადიმერ მარგალიტაძე, გივი სამხარაძე, პავლე მიგელაშვილი. პირველი წრის შემდეგ 16 უძლიერესი ჩოგბურთელის სია ასე გამოიყურებოდა: მარგალიტაძე — ცერცვაძე, რევაზიშვილი — კიკალეიშვილი, ციცვიძე — მარგიშვილი, ჩოხელი — სიამაშვილი, მიდელაშვილი — უშანგიშვილი, ჩკადუა — დ. ენუქიძე, ო. ენუქიძე — ჩიხლაძე, მიქელაძე — სამხარაძე. მწვავე ბრძოლების შედეგად საქართველოს 1997 წლის ზამთრის პირველობა არავის დაუთმო და კვლავ ჩემპიონი გახდა ვლადიმერ მარგალიტაძე, რომელმაც ფინალში მოუგო გივი სამხარაძეს. უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრება ისევე, როგორც ქალების ჩემპიონატი, „სწრაფ“ კორტებზე ტარდებოდა, სადაც ბურთის ასხლეტვა ხდება სწრაფად, ამიტომ უძლიერესი დარტყმების შემდეგ სპორტსმენი ცდილობს „ბადესთან გასვლას“ და ბურთის „მოკვლას“ ჰაერიდან. ეს ყველაფერი მშვენივრად შეასრულეს უძლიერესმა ჩოგბურთელებმა და, პირველ რიგში ვ. მარგალიტაძემ. მესამე ადგილი დაიკავა პავლე მიდელაშვილმა.

გივი ლუკაშვილი
სპორტის ოსტატი.

## კარნეგი გვირჩევს...

1. რაც უფრო კარგად ილაპარაკებთ, მით სწრაფად მიაღწევთ წარმატებას. ადამიანს, რომელსაც შეუძლია საკუთარი თავის მიტანა მეორე ადამიანამდე, უფრო მეტს ენდობიან, ვიდრე სინამდვილეში უნდა ენდობოდნენ.

2. თუ გსურთ ადამიანებს უყვარდეთ, გულწრფელად დაინტერესდით სხვა ადამიანებით. ხშირად გაუღიმეთ მათ.

3. გახსოვდეთ, ადამიანის სახელი ყველაზე სასიამოვნო სიტყვაა ნებისმიერ ენაზე.

4. იყავით კარგი მსმენელი.

5. თუ არა ხართ მართალი, აღიარეთ ეს სწრაფად, გულწრფელად და სიამოვნებით.

6. როდესაც გსურთ ადამიანი თქვენს სიმართლეში დაარწმუნოთ, საუბარი დაიწყეთ მეგობრული მანერით.

7. სანამ სხვებს გააკრიტიკებთ, ჯერ საკუთარ შეცდომებზე ილაპარაკეთ.

8. ყველაზე სასარგებლო, რასაც კამათიდან მიიღებთ, ეს მისი თავიდან არიდებაა.

9. ესაუბრეთ ადამიანებს მათი ინტერესების შესაბამისად.

10. მოიქეცით ისე, რომ ადამიანმა ბედნიერად იგრძნოს თავი, გაგიკეთოთ ის, რასაც ეტყვით.



# გენიოსები - ქალებს

ქალს არ შეუძლია მეგობრობა, მხოლოდ სიყვარული იცის, რაც სიყვარულის იქითაა, იმის მიმართ განურჩეველია.

ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშე

* * *

ქალი ან უნდა გაალმერთო, ან უნდა მიატოვო. სხვა ყველაფერი-სიყალბეა.

ერიხ მარია რემარკი

* * *

გიყვარდეთ და პატივი ეცით ქალს. ეძიეთ მასში არა ოდენ ნუგეში, არამედ შთაგონების ძალაც, ზნეობრივი და გონებრივი უნარის წყაროც.

ჯუზეპე მაძინი.

* * *

ქალის ბუნების არსია სურვილი, რომ მოგვეწონოს და სურვილი, რომ გვიბრძანოს. ეს მეორე — პირველის მიზანია.

ალექსანდრე პოპი

* * *

მამაკაცს ყოველთვის უნდა ქალის პირველი სიყვარული იყოს. ქალები კი შორსმჭვრეტელნი არიან და სურთ იყონ მამაკაცის უკანასკნელი ვნების საგანი.

ოსკარ უაილდი

* * *

თუ გსურს მოიქცე ბრძნულად, მოუსმინე ცოლს და გააკეთე საწინააღმდეგო.

სტენდალი.

* * *

როცა პირველად ნებდება, ქალი ფიქრობს, რომ მამაკაცს მთელი სამყარო მისცა, მამაკაცს კი ჰგონია, რომ მიიღო სათამაშო.

ქალი ფიქრობს, რომ მისცა მარადისობა, მამაკაცს კი ჰგონია, რომ მიიღო წუთი.

სტენდალი

* * *

ქალი — ეს არის ცა, მაგრამ ეს ცა ისევე მაღლაა მამაკაცისაგან, როგორც მიწა — ცის თაღისაგან.

კალდერონ და ლა ბარკა.

ერთ დღეს იმანუელ კანტს ქუჩაში ვიღაც კაცი აედევნა. კაცმა შენიშნა, რომ ფილოსოფოსის კოსტუმს სიძველისაგან პატარა ნაჩვრეტი გასჩენოდა. მან კანტს ნაჩვრეტზე მიუთია და ჩაიქირქილა:

— ბატონო იმანუელ, იქიდან სიბრძნე გამოიყურება.

— ხოლო შიგ სისულელე იყურება. — მშვიდად მიუგო ფილოსოფოსმა.

* * *

გამოჩენილი ფრანგი მწერალი ონორე დე ბალზაკი ხელმოკლედ ცხოვრობდა. ერთ ღამეს ბინაზე ქურდი ეწვია. ქურდმა სიბნელეში საწერ მაგიდას მიაგნო და ფულს დაუწყო ძებნა.

ამის შემხედვარე ბალზაკს ხმამაღალი სიცილი აუტყდა, სანთელი აანთო და ხმაურისაგან დაფეთებულ ქურდს მიაძახ:

— არ გაგიკვირდეთ, გეთაყვა, ჩემი ხარხარი. თქვენ სიბნელეში გინდათ ჩემთან ფული იპოვოთ, მე კი სინათლეზეც ვერ მიპოვია. ამაზე მეტი სისაცილო რაღა იქნება?!

* * *

გენიალურმა ინგლისელმა ფიზიკოსმა, მექანიკოსმა, ასტრონომმა და მათემატიკოსმა ისააკ ნიუტონმა თავისი მეცნიერული ნაშრომებისათვის ლორდის ტიტული მიიღო და 26 წელიწადი პარლამენტში გაატარა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ითხოვა სიტყვა.

— ბატონებო, - მიმართა მან ლორდებს, - თუ თქვენ საწინააღმდეგო. არ გექნებათ, გთხოვთ ფანჯარა მიახურინოთ, გამჭოლი ქარია და მეშინია არ გავცივდე.

თქვა ეს და თავის ადგილზე დაჯდა.

# ენამახვილი გენიოსები

* * *

ერთმა, თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ყბედმა, ფილოსოფოს გეორგ ქრისტოფ ლიჰტენბერგს ჰკითხა:

— შეგიძლიათ ამიხსნათ, რა განსხვავებაა დროსა და მარადისობას შორის?

— სამწუხაროდ, ეს ყოვლად შეუძლებელია, - მიუგო ფილოსოფოსმა, — რადგან ამის ახსნას დრო რომ მოვანდომო, თქვენ გასაგებად მარადისობა დაგჭირდებათ.

* * *

როდესაც სახელოვანმა ფრანგმა არქიტექტორმა ლე კორბუზიემ კოშკის შენობისათვის მრგვალი ოთახები დააპროექტა, ჰკითხეს, [illegible] არქიტექტურული გადაწყვეტილება რამ გამოიწვიაო.

— ბავშვობაში ხშირად მაყენებდნენ კუთხეში, — გამოტყდა დიდი ხუროთმოძღვარი.

* * *

ერთხელ ბერნარდ შოუს მისმა თაყვანისმცემელმა ქალმა ბარათი გაუგზავნა: „მსურს თქვენი გაცნობა. იმ ოთხშაბათს ხუთიდან შვიდ საათამდე შინ ვიქნები".

შოუმ შეიტყო, რომ იგი იმ მრავალრიცხოვან აბეზარ ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც გამოჩენილ ადამიანებთან ნაცნობობის „კოლექციას" აგროვებდა და პასუხად მისწერა:

— საოცარი დამთხვევაა, მოწყალეო ქალბატონო, სწორედ იმ ოთხშაბათს ხუთიდან შვიდამდე მეც შინ ვიქნები.

* * *

დიდმა ამერიკელმა მწერალმა, რეალისტმა მარკ ტვენმა სასტუმროს შთაბეჭდილებათა წიგნი გადაათვალიერა და ბოლო სტრიქონი ამოიკითხა: „ბარონი ფონ ბლანკი მსახურით". ამის ქვემოთ თვითონ ჩაწერა: „მარკ ტვენი ჩემოდნით".




გაზეთ „პანორამას" რედაქცია გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულს ულოცავს მშვენიერ ქალბატონ ნანა ობოლაძეს და უსურვებს მზეგრძელობასა და დღეგრძელობას.

მუდამ გაზაფხული ენთოს თქვენს სულში, ქალბატონო ნანა!

„პანორამას" რედაქცია გულით ულოცავს გაზაფხულისა და ყვავილობის დღესასწაულს ქალბატონ მედეა ჯაშს და ბედნიერებასა და ჯანმრთელობას უსურვებს მის თბილ ოჯახს.

გაზაფხულის მადლი და ეშხი ნუ მოგაკლოთ ღმერთმა ქალბატონო მედეა!

ბატონო გივი!

საქართველოს საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები წრფელი გულით გილოცავენ შესანიშნავ მამულიშვილს, ამავე სამსახურის მთავარ ინსპექტორს ბატონ გივი ივანეს ძე გიგაურს დაბადების დღეს, თქვენი პროფესიული ოსტატობის, ალალმართობის, - კოლეგიალობისა და კაცურკაცობის მშვენიერი მაგალითით აღფრთოვანებულნი.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ბატონო გივი საზოგადოებრივსა და პირად ცხოვრებაში!

ძვირფასო ვახტანგ!

ვახტან სამსონის ძე ფარსმანიშვილი საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსია, რომელმაც მთელს კოლექტივში ასგზის დამსახურებული სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ვულოცავთ დაბადების დღეს ღვაწლმოსილი მეგობარს, კოლეგას, ხელმძღვანელსა და ბაბუას.

ხანგრძლივი სიცოცხლე და წარმატებები გვისურვებია თქვენთვის ბატონო ვახტანგ!




## შვეულად

1. მსგავსება საგნებისა, მოვლენებსა და ცნებებს შორის. 4. პოპულარული ფრანგი კინომსახიობი კაცი. 5. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ჩქარი ტემპი. 9. ნერვული დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია უკიდურესი გაუბედაობა, ეჭვნეულობა, აკვიატებული აზრები. 10. ერთ კუბურ სანტიმეტრ სითხეში გახსნილი ნივთიერების გამოსახულება. 11. მზის სხივებით მკურნალობა. 12. შოკოლადის ხე. 13. განდიდების მანია. 14. ზღვის სიღრმის გასაზომი ხელსაწყო. 16. ირლანდიური ეროვნული ცეკვა. 19. ტროპიკული ხილი. 21. მწვავე ინფექციური დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სასუნთქი ორგანოების ანთება. 24. თალი. 25. მთის წაწვეტებული მწვერვალი. 27. ცოცხლადმშობი სისხლისმწოველი ბუზი. 28. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ნიშნავს მთავარს, უფროსს. 32. მარადმწვანე სუბტროპიკული ხე ან ბუჩქი. 33. მოხარშული ფრინველი, რომელიც მიზეზი გახდა თბილისის დაარსებისა. 37. არარსებული ქვეყანა, ვითომ მდიდარი ოქროთი და თვალ-მაარგალიტით.

## კროსვორდი




## თარაზულად

2. ამერიკაში გავრცელებული დიდი, უქოჩრო, გრძელბოლოიანი თუთიყუში. 3. ტიბეტის უმაღლესი მმართველი და ეკლესიის მეთაური. 6. სინათლის ნაკადის საზომი ერთეული. 7. ბერძნულ მითოლოგიაში ქარების მბრძანებელი. 8. ბერძნულ მითოლოგიაში ღვინისა და დროსტარება-მხიარულების ღმერთი. 15. კომედიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში. 17. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ფულის ერთეული. 18. გამდნარი ან მაგარი ლითონების მიერ გაზების შთანთქმა. 20. ეგვიპტურ მითოლოგიაში მზის ღმერთი. 22. რომის პაპის წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოს მთავრობასთან. 23. ძროხის ხუკის შემწვარი ნაჭერი. 26. რომაული მითოლოგიაში შურისძიების ქალღმერთი. 29. შუა საუკუნეებში ბრალდებულის წამება გახურებული შანთით, მდუღარე წყლით და მისთანით, მისი დამნაშავეობა-უდანაშაულობის გასარკვევად. 30. მუსლიმანთა საშუალო სკოლა. 31. ფულის ერთეული ინდოეთში. 34. ნაკვეთი, სადაც დარგულია ერთი ჯიშის ხეები. 35. მოწითალო წრე წყლულის გარშემო. 36. ციური სხეულის სამოძრაო გზა. 38. ბოტანიკის ნაწილი, რომელიც სოკოებს სწავლობს. 39. XVI საუკუნის ინგლისელი პოეტი და დრამატურგი, შექსპირის წინამორბედი.




დ. აღმაშენებლის 95.
სპორტკომპლექს
„გოლიათის" შენობა.
ტელ.: 96-72-01

გამომცემლები: დამფუძნებელი, კომერციული დირექტორი - ლადო კაკაბაძე, მთ. რედაქტორი - არსენ კაკაბაძე, მთ. რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი - ოთარ ბარათელი. განყოფილებები: სამართალი - დათო ბურკაძე, უცხოეთი - მამუკა ძებისაშვილი, საზოგადოება, და პოლიტიკა - ჯაბა ჯიქია, ეკონომიკა - შოთა გვენეტაძე, კულტურა - დალი ტურაევა, ომარი აბრამიძე, ფოტოკორესპონდენტი - გენადი სანაია, მხატვარი - თამთა ბარათელი.

გაზეთი რეგისტრირებულია თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოში №2/1-4257

აიწყოდა დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთების პოლიგრაფ-კომბინატ „პრესაში"


ავტორთა მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას ავტორები თავად არიან პასუხისმგებელნი მასალაში მოყვანილ ფაქტებზე